საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფიცვაა, ტყვიოლებით და ჯოხებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 17 იანვარი, 2014 წელი.

№10 (7391)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მერაბ ბერძენიშვილის ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

③



ტერიტორიების საკითხის გადაუჭრელად წარმოუდგენლად მიმაჩნია უფრო ღრმა ურთიერთობები რუსეთთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა ქართული და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან 2014 წლის 16 იანვარს

ლაფანყურის საქმის გამოძიება პრაქტიკულად ბოლომდეა მიყვანილი. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართული და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, ლაფანყურის საქმე მართლაც გაიწელა და რთული საქმეც იყო. პრემიერის განცხადებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო იძულებულია, გაითვალისწინოს ეროვნული ინტერესები და ერთი საქმით უფრო მთავარი – ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ დააზიანოს.

„გამოძიებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ ეს საქმე პრაქტიკულად ბოლომდეა მიყვანილი და ჩემი ინფორმაციით, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავენ ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის ერთობლივად გავრცელებას, გამოძიების შედეგების გამოქვეყნებას“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა ყოფილიყო მოწესრიგებული, თქვა პრემიერ-მინისტრმა და ამით ჟურნალისტის იმ კითხვას გამოეხმაურა, ხომ არ დააფრთხობს ტურისტებს და სწავლის მსურველ უცხოელებს საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაო.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა უნდა იყოს მოწესრიგებული და ამასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს შესაბამისი კანონი.

„ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა, ანუ მე ვადასტურებ და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს იყო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული ღონისძიებები, რაც ჩვენ წარმატებით შევასრულეთ.

ჩვენ მივიღებთ საიმიგრაციო პოლიტიკის შესახებ კანონს და უბრალოდ მოწესრიგდება მთელ რიგ ქვეყნებთან საავიზო მიმოსვლა. ამაში უჩვეულო არაფერი არ არის. ასე არის ყველა განვითარებული და ნორმალური ქვეყანა. ჩვენი პრეტენზიაა ამ გზისკენ წავიდეთ და არ დავრჩეთ იქ, სადაც ვიყავით. გვაქვს ამბიცია, გავხდეთ ნორმალური ქვეყანა, სადაც მსგავსი საკითხი მოწესრიგებული იქნება“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის განცხადებით, საიმიგრაციო პოლიტიკის საკითხი არ გულისხმობს ტურისტებისა და სწავლის მსურველებისთვის რაიმე ბარიერის შექმნას.

„ტურისტი, რომელიც ჩამოდის საქართველოში, ძალიან მარტივად ისარგებლებს გამარტივებული საავიზო რეჟიმით. ეს ყველაფერი გაწერილი იქნება ქვეყნების მიხედვით, თუ რომელ ქვეყანასთან რა საავიზო რეჟიმი ამოქმედდება. რაც შეეხება სტუდენტებს და სამუშაოდ ჩამოსულებს, მათთვის იქნება სპეციალური ვიზები“.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავარი ამოცანაა, რომ მთავრობასა და ბიზნეს შორის გამარტივდეს ურთიერთობა.

„წლების განმავლობაში იყო კომუნიკაციების ნაკლებობა. უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით ფორმატზე, როგორ უნდა მოხდეს და გამარტივდეს კომუნიკაცია მთავრობასა და ბიზნესს შორის. იგეგმება სამუშაო ჯგუფების შექმნა, მასში შევლენ მთავრობისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილები წარვუდგინე ბიზნესის წარმომადგენლებს. წლეულს ჩვენ ვიწყებთ ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას და შეგვიძლია, ეს წელი გამოვაცხადოთ ადგილობრივი წარმოების წლად და ყველანი უნდა ვიყოთ ჩართულები ამ საქმეში.

მისი თქმით, იგი აპირებს ბიზნესმენებთან შეხვედრების გაგრძელებას და ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან კომუნიკაციას.

იხ. 2 გვ.

დავით კეზერაშვილის კავშირი „ალ-ქაიდასთან“?!

④

კვალი ფიურერ სააკაშვილამდე მიდის!

⑤

როგორ გადავარჩინოთ საქართველოში ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო-საინჟინრო და ინტელექტუალური პოტენციალი?!

ერთი მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანია

⑥

„თუ რამ აბრკოლებს ევროპულ სტრუქტურებში ჩვენს გაერთიანებას, უფრო ევროპული მხარეა და არა ქართული“

⑧

ქართული მოდერნიზმი კოლუმბიის უნივერსიტეტში

⑨

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ტერიტორიების საკითხის გადაუჭრელად წარმოუდგენლად მიმაჩნია უფრო ღრმა ურთიერთობები რუსეთთან

(პირველი გვერდიდან)

„რაც შეეხება ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ჩემს ხედვებს, ჩვენ დავიწყეთ სამომხმარებლო კალათის დამუშავება. ქვეყანა, რომლის 80% დამოკიდებულია იმპორტზე, ეს არის კატასტროფა. ჩვენ ვისაუბრეთ თუ როგორ უნდა მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით. ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს ვისაუბრეთ იმაზე, რომ ეს არ უნდა მოხდეს ხელოვნური ბარიერების შექმნით. ჩვენ იმპორტს არ უნდა შევეწინააღმდეგოთ და არ უნდა შევუქმნათ ბარიერები, მაგრამ ხელი უნდა შევუწყოთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას. სხვა შემთხვევაში, წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და აღმასვლა. უნდა შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რაც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, რათა კონკურენცია გაუწიოს იმპორტირებულ საქონელს და მეორე მხრივ, იმპორტირებული საქონელიც იქნება მაღალხარისხიანი“, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ევროკავშირთან ინიცირებული ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულება ქართველ მეწარმეებს კარს უღებს.

„ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად და უნდა ვიყოთ მომზადებული, რომ ევროკავშირის ბაზარზე მოხდეს ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი საქონლის შეტანა. ეს იქნება ქართული ეკონომიკის სერიოზული დახმარება. წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ადგილობრივი წარმოების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, საწარმოების შექმნას ყველა რეგიონში. გვაქვს კონკრეტული გეგმები, დავიწყეთ თითოეული დარგის შესწავლა. ჩვენ ბევრი რამის წარმოება შეგვიძლია, სირცხვილია, როდესაც შემოგვაქვს 80% იმპორტირებული საქონელი. ეს არის დამღუპველი ჩვენი ქვეყნისთვის. „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერს არ აკეთებდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ეს იყო ფასადური ეკონომიკის ზრდა, იმისათვის, რომ რაღაც რეიტინგებში მოხვედრილიყვნენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ პატარკაციშვილების ოჯახსა და წინა ხელისუფლებას შორის „იმედზე„ გაფორმებული მემორანდუმი რამდენიმე დღეში გასაჯაროვდება.

მისივე განმარტებით, მემორანდუმის გასაჯაროება თავად ოჯახს სურს, რისი მომართვის საფუძველზეც იუსტიციის მინისტრი საკითხს მთავრობის სხდომაზე გაიტანს.

„საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან, წამებებთან, არაადამიანურ მოპყრობასთან. სისტემური იყო ბიზნესის დატერორება – სხვადასხვა ადამიანებს უკანონოდ ართმევდნენ მედიასაშუალებებს – მათ საკუთრებას. ტელეკომპანია „იმედი“ იმის კლასიკური მაგალითია, თუ როგორ წაართვეს ის პატარკაციშვილების ოჯახს. სხვათა შორის, პატარკაციშვილების ოჯახი თანახმაა, რომ გასაჯაროვდეს ის სკანდალური მემორანდუმი, რომელიც გაფორმებული იყო წინა ხელისუფლების მიერ პატარკაციშვილების ოჯახთან. ჩვენ ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე გამოგვაქვს, კერძოდ, იუსტიციის მინისტრს, ვინაიდან ოფიციალური მომართვა აქვს ოჯახიდან. ალბათ, რამდენიმე დღეში მოხდება ამ დოკუმენტის გასაჯაროება და როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოება იხილავს, თუ როგორ მოხდა ამ ოჯახისთვის ბიზნესის წართმევა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამასთან, პრემიერის თქმით, ყველა, ვინც აღნიშნულ დანაშაულებრივ სისტემაში მონაწილეობდა, პასუხისგებაში იქნება მიცემული.

„ეს იქნება სკანდალი, კიდევ ერთი სამარცხვინო ფაქტი, ჩადენილი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ და ამაზე მკაცრად მოუწევთ პასუხისგება. ყველა, ვინც ამ დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელი იყო, იქნება პასუხისგებაში მიცემული. არ უნდა იქნეს განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი შენელდა – პირიქით“.

სუროგაციასთან დაკავშირებით ევროპის წამყვანი ქვეყნებიც ვერ თანხმდებიან, ამით პრემიერმა ჟურნალისტის კითხვას უპასუხა, ეთანხმებოდა თუ არა პატრიარქის ეპისტოლეში სუროგაციის, აბორტების და ხელოვნური განაყოფიერების შესახებ ეპიზოდს.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, პატრიარქის ეპისტოლე იყო ღრმა და შინაარსიანი.

„მე მოვისმინე კრიტიკაც, მაგრამ ყველას თავისი აზრი აქვს. სუროგაციასთან დაკავშირებით ევროპის წამყვანი ქვეყნებიც ვერ თანხმდებიან, იგივე საფრანგეთში აკრძალულია სუროგაცია. სუროგაციაზე თუ პატრიარქს ჰქონდა მოსაზრება, რა თქმა უნდა, ეს მისი აზრია. ის ჩვენი სულიერი მამაა და აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება, როგორც ყველა ადამიანს.

სუროგაციაზე დავობენ და მსჯელობენ ევროპაში ჩემზე კომპეტენტური ადამიანები. მე არ ვარ კომპეტენტური ამ სფეროში და რაშიც არ ვარ კომპეტენტური, იმაზე აზრს ვერ გამოვხატავ მანამ, სანამ არ გავერკვევი“, – დასძინა ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში ვიზიტისას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ფორმალურ ან არაფორმალურ შეხვედრას არ გეგმავს.

ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში ეკონომიკურ ფორუმს დაესწრება, რომელიც ყოველწლიურად ზამთრში იმართება. ფორუმში მსოფლიო ლიდერები იღებენ მონაწილეობას.

ბიძინა ივანიშვილის რჩევებს, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ და ყოველთვის გავითვალისწინებ, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

მისივე განმარტებით, მსოფლიოს ნებისმიერ ლიდერს შეშურდებოდა ისეთი ადამიანისგან რჩევების მიღება, როგორიც ბიძინა ივანიშვილია.

„ამაში უჩვეულო არაფერი არ არის. არა მხოლოდ ქართველები, ჩამოდიან უცხოელები და ათას რჩევას გვაძლევენ - არ ვეკითხებით, მაინც გვაძლევენ რჩევებს და რატომ არ უნდა მივიღოთ ბატონი ბიძინას რჩევები?“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

საპატრიარქოს დაფინანსებასთან მიმართებაში მთავრობა სიახლეებს არ გეგმავს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა , რომელიც საპატრიარქოს დაფინანსებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ გარკვეულ ეჭვებს შეეხებოდა.

პრემიერი დაინტერესდა კონკრეტული მაგალითებით თუ რაში ეპარება საზოგადოების ნაწილს ეჭვი.

– საპატრიარქოსთან მიმართებაში არავითარ სიახლეს არ განვიხილავთ, არის კონკრეტული თანხა, ამის მიზნობრიობაში თუ ვინმეს ეჭვი ეპარება – არ ვიცი. ის ჯიპები, რომლითაც სასულიერო პირები დადიან, მათ სააკაშვილის მთავრობამ აჩუქა, მათ კი არ იყიდეს, აჩუქეს“, – განაცხადა პრემიერმა.

ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რასაც საერთაშოროსო თანამეგობრობა, პარტნიორი ქვეყნები – აშშ და ევროპის სახელმწიფოები გვაძლევდნენ იყო ის, რომ მოგვეხდინა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება საქართველოს ინტერესებშიც შედის.

– ეს ჩვენს ინტერესებშიც არის. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ, დაინიშნა პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე, რომელიც ძალიან ეფექტიანად მუშაობს. მრავალი ტექნიკური საკითხის გაუმჯობესება მოხდა, მაგალითად დაიწყო სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა, ამას გარდა, რუსეთის მხრიდან იგეგმება სავიზო რეჟიმის გამარტივება, ეს ყველაფერი პოზიტიურად მოქმედებს ურთიერთობის აღდგენის პროცესზე, ნდობის აღდგენას უწყობს ხელს.

მისივე განმარტებით, არ გადაიხედება ჩვენი კურსი, რომ ვიყოთ პრაგმატულები, გონივრული პოლიტიკა ვაწარმოოთ ყველასთან, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან.

„ჩვენი მხრიდან არც ერთხელ არ ყოფილა რაიმე სახის პროვოკაციული ნაბიჯი. ჩვენ მხოლოდ კონსტრუქციული ნაბიჯებით ვცდილობთ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენას, მაგრამ, ყველაზე მტკივნეულ საკითხში გვაქვს უთანხმოება და ესაა ჩვენი ტერიტორიები. ამ საკითხების გადაჭრის გარეშე მწარმოუდგენლად მიმაჩნია უფრო ღრმა ურთიერთობები რუსეთთან.

წინასწარ რაიმეს თქმა რთულია, არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ, ზოგადად, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ სპორტი პოლიტიკისგან, – ამით პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტის კითხვას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ბევრი რამ მიანიშნებს, რომ ეს იქნება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების იდეის პოპულარიზაცია.

„საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას მხოლოდ სპორტსმენები მიიღებენ. იქ არ ჩადის მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი, იქ ჩავა მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტი და სპორტსმენები. იქ თუ რაიმე პოლიტიკურ აქციას ექნება ადგილი, ეს მიუღებელი იქნება და ადეკვატური რეაგირება იქნება ჩვენი მხრიდან“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხზე თანამშრომლობას, პრემიერის განცხადებით, ზოგადად, უსაფრთხოების საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ გამოვიკვლიეთ რამდენიმე ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი, შევისწავლეთ და გამოძიებამ დაადგინა, თუ რა პირობებში მოხდა მათი დაკარგვა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, გამოძიებამ დაადგინა, თუ რა პირობებში მოხდა მათი დაკარგვა.

„სამწუხაროდ, რამდენიმე ასეული ადამიანია უგზო-უკვლოდ დაკარგული ბოლო 9 წლის განმავლობაში. ბუნებრივია, რთულია ამ ადამიანების მიკვლევა და დადგენა, თუ როგორ მოხდა მათი გაუჩინარება. ჩვენ ვაწარმოებთ გამოძიებას, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. დაახლოებით ერთ თვეში რამდენიმე გახმაურებული ფაქტის მომსწრენი გავხდებით.

ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციაში პროკურატურა შვეიცარიის ლაბორატორიის ჩართვას გეგმავს. პრემიერის თქმით, ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა ინტენსიურად მუშაობს.

„პროკურატურის ახალი ხელმძღვანელობა შექმნას იმსახურებს. მათ მოკლე დროში ოთარ ფარცხალაძის მეთაურობით ბევრი საქმის გამოძიება შეძლეს, – აღნიშია პრემიერმა.

„ჟვანიას საქმეს რაც შეეხება, საუბარია ექსჰუმაციაზე, რათა არ გაჩნდეს რაიმე შეკითხვები. პროკურატურა გეგმავს, რომ მოხდეს შვეიცარიის ლაბორატორიის ჩართვა, ვაპირებთ შეიქმნას გარკვეული კომისია. ასევე მიმდინარეობს კონსულტაციები თომას ჰამერბერგთან, რათა ისიც ჩაერთოს, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს ეს პროცესი.

მისივე თქმით, ცხედრის ექსჰუმაციასთან დაკავშირებით ასევე საუბარია ისრაელის ერთ-ერთ ლაბორატორიასთანაც. „ასე რომ, გვაქვს რამდენიმე ვარიანტი როგორც ისრაელში, ასევე შვეიცარიაში“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უახლოეს პერიოდში რამდენიმე ვიზიტს გეგმავს. მიუნჰენის კონფერენციაში თავად მიიღებს მონაწილეობას. მანამდე კი, პრემიერის ვიზიტი დავოსში შედგება და ის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას.

ამის შემდეგ დაგეგმილია ვიზიტი ისრაელში, სადაც თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება გაფორმდება.

უახლოეს პერიოდში პრემიერის ვიზიტი ბრიუსელშიც შედგება, სადაც შეხვედრა ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან და ნატოს გენერალურ მდივანთან შედგება.

დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით ძალიან სკანდალური ინფორმაციები იკვეთება.

პრემიერის თქმით, იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნის საგამოძიებო სტრუქტურებიც არიან დაინტერესებულნი.

პრემიერი გამოეხმაურა კეზერაშვილთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას და აღნიშნა, რომ ქართული საგამოძიებო უწყებები ყველაფერს გააკეთებენ ამ ინფორმაციის გამოსაძიებლად.

– კეზერაშვილი ჩემთვის აღმოჩენა იყო. ეს იყო ტოლფასი იმ წამებათა გამოვლენის, რაც ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ რამდენიმე თვის წინათ. წლების განმავლობაში საზოგადოებაში მუსირებდა აზრი და ხალხი ყვიროდა, უბრალოდ ვერავინ ვერ მიაწვდინა ხმა მსოფლიო საზოგადოებას, რა ხდებოდა ციხეებში. ახლა სწორედ მოხდა იმის დადატურება, რაზეც ოპოზიციის წარმომადგენლები წლების განმავლობაში საუბრობდნენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის„ მაღალჩინოსნებმა ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, სტრატეგიული ობიექტები და სერიოზული აქტივები. ვერავინ ამიხსნის, თუ საიდან აქვს 800-მილიონიანი ბრუნვა კეზერაშვილს მხოლოდ 2012 წელს, საიდან აქვს მის კომპანიას მილიარდნახევრიანი ბრუნვა, მას შემდეგ რაც ის გადავიდა კერძო სექტორში. ეს არის შოკისმომგვრელი, სკანდალური ინფორმაცია და ამის შეფასება საზოგადოებამ ადეკვატურად უნდა მოახდინოს. ჩვენი ხელისუფლება და პროკურატურა დაინტერესდა ამ ინფორმაციით და ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში ნათელი მოვფინოთ ამ ფაქტს„, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ევროპელები არ არიან მიჩვეულნი, რომ მათი დედაქალაქის მერი ბრალდებული იყოს 50 მილიონი ლარის გაფლანგვაში, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წევრების განცხადებების შეფასებისას აღნიშნა. მისი თქმით, მონიტორებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ასეთი რამ ხდება და ამიტომ, საჭიროა მთავრობის მხრიდან მეტი კომუნიკაცია.

საინტერესოა ერთი რამ, რომ როცა ყოფილი მერი, გამობრძანდა სასამართლო დარბაზიდან, მან და მისმა გუნდმა თქვა, რომ პროკურატურის არც ერთი შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ისინი ამით ამაყობდნენ. ისინი იყვნენ კმაყოფილნი მოსამართლის გადაწყვეტილებით. როდესაც მოგვიანებით, აბსოლუტურად კანონიერად, მოსამართლემ გაავრცელა საკუთარი გადაწყვეტილება, მათთვის ეს მაშინვე მიუღებელი გახდა. აქ იკვეთება ორმაგი სტანდარტი მათი მხრიდან, რომ ერთ დღეს მოსწონთ მოსამართლის გადაწყვეტილება, მეორე დღეს – არა. მაგრამ, მათ მოწონებაზე ჩვენ ვერ ვიქნებით. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ მოსამართლის გადაწყვეტილებას, ისევე როგორც ვემორჩილებოდით ჩვენ მთელი წლის განმავლობაში, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ღვთიური ძალა აქვს ბავშვობაში შთაგონებულ პირველ ლექსს: „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი.“ ამ უბრალოდ ნათქვამ სიტყვას ისეთივე ძალა, სიდიადე და მშვენიერება ახლავს, როგორიც თავად კავკასიის ზეცად აზიდულ მწვერვალებს, ბავშვობაში სიცოცხლით რომ გავსებს და სიჭაბუკეში —სიამაყით, რომ ამ ბუნების ლაღი და თავისუფალი შვილი ხარ. ეს თავისუფლება და სიამაყე სიცოცხლის ბოლომდე მოგვყვება, მაგრამ ამ ბოლო დროს, სიბერის ჟამს, გვარწმუნებენ: „თუ ვარ ქართველი, ესე იგი ვარ ევროპელი“. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენი წინაპარი ამ მიზნისათვის მიისწრაფოდა ევროპისაკენ; ეს სიყვარულით თქმული ფრაზაა და ამ სიყვარულს დასავლეთში არავინ გაიზიარებს. პირიქით, ქართულ სიყვარულსა და ტრადიციას ზოგჯერ გვიფერმკრთალებენ, ქართველთა დელეგაციას სერიოზულ შეხვედრაზე „შალახოთი“ ხვდებიან, როცა მთელმა მსოფლიომ იცის, ქართული სიმღერა „ჩაკრულო“ კოსმოსში რომ არის გაგზავნილი. ისიც ძალიან კარგად იციან, რომ თბილისში ქართული, სომხური ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი გვერდიგვერდ რომ დგანან საუკუნეთა მანძილზე. მაგრამ ევროპელი მაღალჩინოსანი სტუმრები ხშირად გვახსენებენ და გვმოძღვრავენ, თუ როგორ უნდა მოვექცეთ სხვადასხვა რელიგიის მქონე უმცირესობაში მყოფ ხალხს. და, ამავდროულად, ოსტატურად, ურცხვად, გვიქადაგებენ ერთსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერას. ჩვენ, ქართველებს, ვერავინ გვასწავლის, სხვადასხვა რელიგიის მქონე უმცირესობას როგორ მოვექცეთ, ამაზე ჩვენი ისტორია საუბრობს, ძალიან საწყენია, როცა ევროპელი მაღალჩინოსანი სტუმარი საქართველოს აღიქვამს პრიმიტიულ ქვეყნად და საზოგადოებას ესაუბრება მდაბიო ლექსიკით დემოკრატიაზე.

ყველამ შეიგნოს და დასჯერდეს იმას, რომ საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ ქრისტეს მცნების მიმდევარნი, მტკიცე ნების ვაჟკაცები, ღვთისნიერი დედები, სათნო ქალბატონები, გონიერი და ლაღი ახალგაზრდები.

საქართველო არ დაუშვებს ტრადიციულ ქვეყანაში ერთსქესიანთა თავაშვებულ ქცევას! ეგღა გვაკლია, თბილისში მტკვარზე „ტივზე“ მოქეიფე ერთსქესიანთა ქორწილი ვნახოთ! ერთხელ და სამუდამოდ პარლამენტმა ხმამაღლა უნდა გამოხატოს ხალხის ნება და დაუსვას წერტილი ამ პრიმიტიულ შთაგონებებს.

მართალი გითხრათ, გასული წლის პირველი ოქტომბრის დიდი გამარჯვებისა და დიდი სიხარულის შემდეგ მეგონა სხვა საქართველოში ვიცხოვრებდი, არავინ იფიქროს, რომ ეკონომიკის უეცარ ზრდასა და სიუხვეს ველოდი. არა! მე მეგონა, ქუჩაში პირმცინარ ქართველს შევხვდებოდი. უსახურია და ბურუსით მოცული დღევანდელი ყოფა, ყოველი მხრიდან ისმის გოდება, წუხილი, ბორგავს საქართველო. უსახლკაროდ დარჩენილი, შეურაცხყოფილი, ღირსებააყრილი, ნაწამები ხალხი გაშმაგებულია. ის სხვა საქართველოს ელოდა. დღევანდელი მისი მდგომარეობა ჰგავს მეწყერს, მდინარეს კალაპოტს რომ ჩაუკეტავს და მოძალებული ბრდღვიალა მდინარე როდის გახეთქავს, გაარღვევს გზას, როდის წალეკავს ყველაფერს, არავინ იცის. ხალხი დაჟინებით ითხოვს, აღსრულდეს დანაპირები, ითხოვს მწვალებლების, მკვლელების, მძარცველების და კრიმინალების კანონიერ დასჯას. ხალხი ითხოვს სამართლიანობის აღდგენას. ხელისუფლება დუმს, პარლამენტი დუმს. საოცარია, პარლამენტში დასავლეთის ქარით მოტანილი ჩურჩული ესმით, და პასუხსაც სანაქებოს უგზავნიან. მაგრამ საქართველოში ხალხის წივილ-კივილს, როგორც ჩანს, მავანი ახშობს. უხერხულია, არ შეიძლება, საქართველოს პარლამენტში უწმიდესსა და უნეტარესზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, ილია მეორეზე ილაპარაკო ქილიკით. ქილიკი წამგებიანია ჭეშმარიტებასთან, „რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი“ (დავით აღმაშენებელი). არ შეიძლება, საქართველოს პარლამენტში დანაშაულებრივი კასტა ადამიანებისა

იყოს მოკალათებული, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას და წინსვლას. ეს ის ხალხია, რომელიც გაუთავებლად ერთსა და იმავეს იმეორებს, თავიანთ უზომო ჩადენილ დანაშაულს თქვენ გდებს ბრალად, თქვენ კი დღემდე თავისმართლების პოზიციაში იმყოფებით. აი ეს არის ეგრეთ წოდებული ,,კოჰაბიტაცია“, რამაც ხალხში უნდობლობა გამოიწვია. სანამ ქვეყნის წინსვლის შეფერხების მიზეზი შეფასებული არ იქნება, სანამ ქვეყანას ვიზუალურად რაღაც სიახლეს არ შეჰმატებთ, დაანახვებთ, თქვენ ყველაფერზე დუმილი მოგიწევთ და თქვენს სათქმელს სხვები იტყვიან, ტყუილად ხომ არ მომრავლდნენ ეგრეთ წოდებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველოს კულტურის მნგრეველი ნაციონალური ხელისუფლების მიერ ჩადენილ სიავეს დღემდე უყურადღებოდ დატოვებდით. ქართული კულტურის მონაპოვარს ასე არ ექცევიან. მეგონა, ბრწყინვალე ქანდაკებას — „ამირანს“ ვერაგულად ღამით ამწით რომ დაანგრიეს, თქვენ აღადგენდით და ააშენებდით იმავე ადგილას. მეგონა, ფოთის მაღალმხატვრული ძეგლი „კოლხეთის დედა“ და ზესტაფონში მიგდებული „დაჭრილი არწივი“ თავის ადგილს იპოვიდა, სარაჯიშვილის შესანიშნავ ქანდაკებას ძველ ადგილზე ვნახავდი, მეგონა, მოპარულ და დანგრეულ ძეგლებს მოიძიებდით, მეგონა, დიდგორის ორივე მხრიდან დანგრეულ მისასვლელ გზას აღადგენდით, ქართველ ახალგაზრდობას, მომავალ თაობებს, მისცემდით საშუალებას ამ საამაყო ადგილის მონახულების და აღადგენდით დიდგორობას. ვერ წარმომედგინა, ქუთაისის მემორიალის აფეთქებაზე სისხლის სამართლის საქმეს თუ არ აღძრავდით, ეს ხომ სახელმწიფოებრივი დანაშაული იყო. და, ამავე დროს, ამ უგუნურ საქმეს ორი ადამიანის, ახალგაზრდა დედისა და ცხრა წლის ბავშვის სიცოცხლე შეწირეს. მეგონა, რიყეზე უაზროდ აგებულ რკინის უაზრო ნაგებობას, ვითომ თანამედროვეობის სახელით აშენებულს, მოაცილებდით მეტეხისა და გორგასლის გარემოს. ვერ წარმოვიდგენდი, „კაროჟნას ქოლგის“ მსგავს უაზრო ხიდს რომ იქ დატოვებდით. ვერ წარმომედგინა, რომ „ველოსიპედი“ კვლავ იმ ადგილას დარჩებოდა, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა. ეს ცინიზმია! ამ საკითხებზე უამრავი წერილი ქვეყნდებოდა პრესაში, იყო საუბრები ტელევიზიით. სწორედ ამის თაობაზე ოცამდე გენერალმა გამოაქვეყნა მოთხოვნა, დავით აღმაშენებლის ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნების შესახებ. ეს ის პიროვნებებია, მთელი სიცოცხლე ქვეყნის კეთილდღეობისა და ხალხის სადარაჯოზე რომ დგანან, **„ასეთ ადამიანებზე დგას საქართველო“**.

გასული წლის 2-8 დეკემბერს გამოქვეყნდა პრესაში, „ასავალ დასავალში“, ხოლო შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკაში“, იმავე ხასიათისა და მოთხოვნის დიდი მოცულობის წერილი, რომელსაც სამოცდაათამდე ადამიანი აწერდა ხელს. მოთხოვნა იყო, აეღოთ დავით აღმაშენებლის ძეგლი იმ მიუვალი ადგილიდან და დაებრუნებინათ ძველ ადგილას. ეს პიროვნებები ქართველი ხალხის საპატივცემულო და უსაყვარლესი ადამიანები არიან, მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნებები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, თეატრისა და კინოხელოვნების მსოფლიოში სახელგანთქმული რეჟისორები, მსახიობები, მსოფლიოსთვის ცნობილი მუსიკოსები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, არქიტექტორები, მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო ხელოვნების უდიდესი მომღერლები, ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სპორტსმენები, მათ შორის, ოცი წლის მანძილზე ჭადრაკის ჩემპიონი, ჭადრაკის დედოფალი, პოლიტიკის მოღვაწენი და ასე შემდეგ. **„ასეთ ადამიანებზე დგას საქართველო“.**

არც ერთ ქვეყანაში არც ერთი ხელისუფლება მსგავს მოთხოვნას უპასუხოდ არ დატოვებდა. საზოგადოება განცვიფრებულია, რატომ დარჩა პასუხი დღემდე გაუცემელი და გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ ეს თქვენს სახელზე გამოგზავნილი წერილი არ მიგიღიათ, ან არ მოგაწოდეს. იქნებ, აქაც მავანთა ხელი ურევია და ცდილობენ, ხელისუფლება და საზოგადოება ერთმანეთს დააცილონ.

ბატონო ირაკლი! თქვენ მაღალი კულტურისა და განათლების პიროვნება ბრძანდებით, მაღალი მრწამსის ქართველი პოლიტიკოსი, ამიტომ შესძელით,მცირე დროში ურთულესი უბნის — სხვა გზაზე მდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაქმნა და ჭეშმარიტ, სანიმუშო სამინისტროდ ქცევა. ეს ხალხმა კარგად იცის და კარგად შეაფასა. იმან, რომ თქვენ ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ჩაიბარეთ, საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია და მომავლის ძალიან დიდი იმედი გააჩინა. ამიტომ გვჯერა, ამ ხალხის თხოვნას გაარკვევთ და აღასრულებთ.

ადამიანს, როდესაც სამშობლო უყვარს და, ამავე დროს, მისი ხელისუფლებაც მოსწონს, მაშინ ხარობს ქვეყანა, მაშინ აღწევს იგი ყოველგვარ წარმატებას. ეს ჭეშმარიტება წინა ხელისუფლებამ ვერ გაიგო, ან არ გაიგო. საზოგადოებაში თქვენი იმიჯი ძალიან მაღალია. გულწრფელად გთხოვთ, ნუ დაკარგავთ მას. სიყვარულია ყველაფრის შემძლე, თავად ბრძანდებით მოწმე, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მიზნის მისაღწევად ხალხი სიყვარულით კლდესავით დაუდგა გვერდზე და გამარჯვებამაც არ დააყოვნა.

P. S.

ბატონო ირაკლი, „ურწმუნო თომა“ არა ვარ, რომ ვერ ვხედავდე, რამდენი რამ გაკეთდა, რამდენი რამ სიკეთისკენ შეიცვალა. ეს ჩემი წერილი ჩემი გულწრფელი განცდაა, არ ჩათვალოთ შეგონებად, ამას თქვენ არ გკადრებთ და არც ჩემს თავს ვკადრებ. სიტყვა მკვეთრია, ხალხის გამოძახილია და სიმართლეა, რამდენჯერმე ჩემს წერილში ჩემს ნამუშევარს შევეხე, თავს უფლება მივეცი იმიტომ, რომ იგი დღეს ხალხს ეკუთვნის, რომელიც მასზე წუხს, და მე ამ წუხილს ვიზიარებ. თუმცა, მეც მაქვს ჩემი პირადი სათქმელი.

დიდი პატივისცემით
მერაბ ბერძენიშვილი.
15 იანვარი, 2014

ხალხი ამ საკითხზე მთავრობის დაუყოვნებლივ პასუხს ითხოვს!

დავით კეზერაშვილის კავშირი „ალ-ქაიდასთან“?!

კვალი ფიურერ სააკაშვილამდე მიდის!

საერთაშორისო აუდიტორული კომპანია deloitte-ის მიერ გამოქვეყნებული დასკვნის შემდეგ, შესაძლოა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დავით კეზერაშვილს კიდევ ახალი ბრალი წაუყენოს. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ პროკურატურა კეზერაშვილის შემოსავლების შესახებ მედიასაშუალებებით გავრცელებულ მასალებს შეისწავლის.

deloitte-ის მიერ გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, 2009 წლიდან კეზერაშვილი ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ერთ-ერთი კომპანიის წილის მფლობელი იყო. ამ კომპანიის ანგარიშზე კი საკმაოდ დიდი რაოდენობით თანხები ტრიალებდა. საუბარია რამდენიმე ასეულ მილიონზე, რის გამოც საქართველოს მთავარ პროკურატურას ეჭვი ფულის გათეთრებაზე ან დანაშაულის შემცველ სხვა ელემენტებზე უჩნდება.

სწორედ ამ სისხლის სამართლის დანაშაულით აიხსნება, რომ დავით კეზერაშვილმა საჯარო სამსახურის დატოვების შემდეგ მცირე დროში მილიონერად გახდომა მოახერხა.

კეზერაშვილის მიმართ სერიოზულ ბრალდებებს ახმოვანებს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელიც. იგი აცხადებს, რომ კეზერაშვილი ჩართული იყო იარაღის ბიზნესში, საიდანაც სოლიდურ თანხას იღებდა. ამის მაგალითად ხიდაშელმა მოიყვანა deloitte-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, სადაც მითითებულია, რომ 2009 წელს პოსტიდან წასვლის შემდეგ კეზერაშვილმა ოფშორში ერთპიროვნულად დააფუძნა კომპანია, რომელმაც 2012 წლამდე ათეულ მილიონობით დოლარის მოგება მიიღო.

„როგორ გახდა საჯარო მოხელე, დავით კეზერაშვილი თანამდებობის დატოვებიდან მეორე დღესვე მილიონერი?! მთელი მინისტრობის განმავლობაში კეზერაშვილი არ ყოფილა არც ერთი დღე ბიზნესმენი. საქართველოს არასოდეს არ გაუგია იმის შესახებ, რომ ამ ადამიანს რაიმე ბიზნესი ჰქონდა, რაც მას ქონების დაგროვების საშუალებას მისცემდა. აღმოჩნდა, რომ მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ ეს ადამიანი გახდა შპს „ლუკოილის“ 50%-იანი წილის მფლობელი. სიმბოლურ ფასად მიიღო მან ეს აქტივები. მაშინვე ვამბობდით, რომ ეს იყო გათეთრება იმ ბიზნესის, რომელიც მანამდეც ჰქონდა, უბრალოდ, რადგან მინისტრი იყო, ამაზე არ საუბრობდა. როგორც კი გაჩნდა „გალფი“, მაშინვე დაიწყო საუბარი იმაზე, თუ როგორი ზეწოლა მოახდინა ბატონმა კეზერაშვილმა არსებული ნავთობკომპანიების სხვადასხვა პატარა ქსელებზე იმისათვის, რომ ჩაენაცვლებინა ისინი საკუთარი კომპანიით.

დღეს ეს ფაქტი, რასაც წლების განმავლობაში უარყოფდნენ, რომ კეზერაშვილი იყო არაერთი ბიზნესის მეპატრონე, დადასტურდა! ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება, როგორ, რა საშუალებით გაუჩნდა მას ასეთი შემოსავლები და როგორ მოახერხა მან, მინისტრობიდან გადადგომისთანავე გამხდარიყო მილიონერი. ეს ადასტურებს იმ ეჭვს, რომ მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს დაკავებული იყო ფულის გათეთრებით, საკუთარი ბიზნეს-ინტერესების ლობირებით! ძალიან ბევრი სკანდალი იყო იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებითაც, ეს დოკუმენტები უკვე არსებობს და საზოგადოებისთვის ძალიან მალე ცნობილი გახდება. რამდენიმე ჟურნალისტისგან მაქვს სრულფასოვანი პირობა, რომ მათ აქვთ დოკუმენტები და გამოაქვეყნებენ უახლოეს მომავალში“, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა და განმარტა, რომ ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიაში კეზერაშვილის 1-მილიარდიანი დოლარის ბრუნვით საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ.

deloitte-ის კვლევას რაც შეეხება, დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ Future products company-ს შვილობილი ერთ-ერთი კომპანიაა, „FPC“-ის 100-პროცენტიანი დამფუძნებელი და მეწილე არის კეზერაშვილი. 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით სეიშელის კუნძულებზე კეზერაშვილის კუთვნილი კომპანიის ანგარიშებზე კაპიტალის ბრუნვამ შეადგინა 1 მილიარდი დოლარი. შვილობილი კომპანიები დარეგისტრირებული იყო გიბრალტარის, ბაჰამისა და სხვა კუნძულებზე. მას შემდეგ, რაც 2009 წელს „FPC“-მა დაიწყო საქმიანობა, მისმა ბრუნვამ 870 228 დოლარი შეადგინა, ამავე წელს თანხების ბრუნვა 103 311 883 დოლარამდე გაიზარდა და 2010 წელს 795 245 102 დოლარს მიაღწია.

სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით შემოდიოდა საქართველოში უკვე გათეთრებული ფული, რომელიც უცხოური კაპიტალის სახელით ფიქსირდებოდა, რაც სახელმწიფოს ეთვლებოდა ინვესტიციის გაზრდაში, ხოლო კეზერაშვილის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიები მონაწილეობდნენ ტენდერებში, თავდაცვის მიმართულებით, მათ შორის, იარაღის შეძენაში. იარაღით უკანონო ვაჭრობიდან „შავ სალაროში“ მილიარდები რჩებოდა და ეს ფული ირიცხებოდა თავისუფალ სავაჭრო ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებში.

როგორც ამბობენ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კეზერაშვილმა გააააქტიურა იარაღით უკანონო ვაჭრობა და მისმა თანხებმაც კოლოსალურ ციფრებს მიაღწია.

კეზერაშვილის პიროვნებით, რომელიც საფრანგეთის ციხეში განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ოთხი ქვეყნის სპეცსამსახურია დაინტერესებული. სავარაუდოდ, მისი საქმიანობა ამერიკის სპეცსამსახურებმა გაშიფრეს და მისი აყვანა უკავშირდება ამერიკის შპიონაჟის საქმეს, როცა ტოტალური მოსმენები განახორციელეს აშშ-ის სპეცსამსახურებმა ირანსა და სირიაში მოსალოდნელი ომის დაწყების წინ. არის ეჭვი, რომ კეზერაშვილს კავშირები ჰქონდა „ალ-ქაიდასთან“, რომელსაც ის იარაღით ამარაგებდა, ასევე, საუბარია სირიაში ბაშარ ალ ასადის რეჟიმთან მის საეჭვო კავშირებზე.

ექსპერტი გია ხუხაშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ამ კრიმინალური ბიზნესის შესახებ მას ინფორმაცია ჰქონდა და ხშირად ამბობდა კიდეც, რომ კეზერაშვილი იყო სახელისუფლო სალაროს ერთ-ერთი შემავსებელი. გია ხუხაშვილს ეეჭვება, რომ ეს ყველაფერი პირადად კეზერაშვილის საკუთრება იყო. უბრალოდ, ეს იყო მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველი ჯგუფის სალარო და კეზერაშვილი არ მუშაობდა მხოლოდ საკუთარ თავზე, ის ამ ჯგუფზე მუშაობდა და ეს იყო ყოფილ ხელისუფლებასთან გადაჯაჭვული კრიმინალური ბიზნესი. მისი აზრით, ამ დანაშაულის თანამონაწილე იყო მმართველი ელიტა და, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სააკაშვილამდე მიდის.

„სხვათა შორის, გადაზიდვების თემასთან დაკავშირებით მაკრიტიკებდნენ, რომლის სახელმწიფოსთვის დაბრუნებაშიც მივიღე მონაწილეობა. ეს ამ მილიარდიანი აქტივის ერთ-ერთი ნაწილი იყო. ასე რომ, ჩემთვის ეს სიახლე არ ყოფილა. სასურველია, თუ სამართალდამცავები ამ ყველაფრით დაინტერესდებიან. იარაღით ვაჭრობასთან მის კავშირებს რაც შეეხება, ეს თემა ნაკლებად ვიცი, რადგან იარაღით ვაჭრობა ჩემთვის დახურული, სპეციფიური თემა იყო, თუმცა იმავე ვიქტორ ბუტის გახმაურებულ საქმესთან კეზერაშვილის კავშირზე ინფორმაცია ძალიან საყურადღებოა. 2008 წლამდე მინისტრი იყო და 2009-დან, როდესაც ასეულობით მილიონი აღმოჩნდა მის ხელში, უკვე გასაგებია, რომ ეს არ იყო მისი პირადი ფული და პირადი ბიზნესი, ეს იყო ნაცმოძრაობის ბიზნესი. მთავარი პარტნიორი ამ ბიზნესში მიხეილ სააკაშვილია. ამაში დარწმუნებული ვარ“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ კეზერაშვილის დროს იარაღით ვაჭრობის საქმე 2008 წლის ომის დაწყებამდეც აქტუალური იყო. კერძოდ, კეზერაშვილის მინისტრობისას თავდაცვის ბიუჯეტი გააორმაგეს, რათა მას იარაღისა და ტექნიკის უკანონო ვაჭრობა ეწარმოებინა. თავდაცვის ბიუჯეტიდან თანხები ირიცხებოდა და თითქოს, იარაღს და ტექნიკას თავდაცვის სამინისტრო თავისთვის იძენდა. სინამდვილეში, ეს ყველაფერი გადიოდა სირიასა და ირანში. ეს სქემა მათ ძალიან კარგად ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

„ეს ბიზნესი გააქტიურდა 2007-08 წლებში. იარაღისა და ტექნიკის რაოდენობამ გადააჭარბა თავდაცვის სამინისტროს ბალანსს და საფრთხე შეიქმნა, რომ შესაძლებელი იყო გაეროს წარმომადგენელი შემოსულიყო და სინამდვილე აღმოეჩინა. ამიტომ გაითამაშეს ავანტიურა და 2008 წელს საბრძოლო მოქმედებები განაახლა სააკაშვილმა, რათა ჩამოეწერათ ის ტექნიკა-შეიარაღება, რომელიც მათ გადაზიდეს სხვა ქვეყნებში და ამით ყველაფრის განულება გააკეთეს. ტარდებოდა ოპერაციები, ერთი ოპერაციის საფუძველზე ჩაირიცხა 50 მილიონი, შემდეგ გარკვეული დროის, კვირის შემდგომ ჩატარდა კიდევ ახალი ტიპის ოპერაცია, გადაირიცხა 25 მილიონი ლარი. ეს ყველაფერი მიდიოდა ოფშორში. მაგალითად, „ბელ თრეინგში“ ჩაირიცხა 100 მილიონი, 80 მილიონი რეგისტრირდებოდა ოფშორში რეგისტრირებულ ორგანიზაციაში, 20 მლიონი კი ირიცხებოდა „უკსპეცექსპორტში“. უკრაინის „უკსპეცექსპორტს“, რომელიც იარაღს ყიდის, პირდაპირი კავშირი აქვს „როსვაარუჟენიასთან“. იარაღის შესყიდვა უკრაინიდან მართლაც ხდებოდა, მაგრამ ამის შემდგომ საქართველო ამ იარაღს სირიასა და ირანზე ყიდდა“, — აღნიშნა ტრისტან წითელაშვილმა.

მანვე განმარტა, რომ ეს იარაღი ვარდებოდა ტერორისტების ხელში. დღეს იმ ქვეყნებში მიმდინარეობს აქტიური საბრძოლო მოქმედებები და უდანაშაულო ადამიანების სისხლი იღვრება, რაც კეზერაშვილ-საакაშვილ-თემურ ალასანიას და სხვა ადამიანთა კისერზეა, რომლებიც იარაღის კონტრაბანდაში იყვნენ ჩაბმულნი.

თავის მხრივ, ამერიკულ ონლაინ გამოცემა New Eastern Outlook-ში გამოქვეყნებულ სკანდალურ სტატიაში ნათქვამია: „კეზერაშვილი აგვისტოს ომსა და ქართველი ადამიანების სიცოცხლეს იმისთვის იყენებდა, რომ დაუსჯელად ექურდა და დაეცვა საკუთარი თანაგუნდელები. საქართველოში კეზერაშვილის სახელს ყველაზე ხშირად ნარკოტიკებითა და უკანონო იარაღით ვაჭრობას უკავშირებენ. ის „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდებოდა იმის გამო, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ისრაელთან და თავისუფლად მეტყველებდა ივრითზე. ცნობილია, რომ ისრაელში იარაღით ვაჭრობის ყველაზე „შავი ბაზარი“ არსებობს.

დავით კეზერაშვილის დაკავების შესახებ ცნობილი ფრანგული გამოცემა „ლე მონდი“ კი იტყობინება, რომ კეზერაშვილი მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირია, მისი დაკავება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ორ ქვეყანას შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის ნაწილია. პოლიტიკური გამოცდილების შემდეგ დავით კეზერაშვილი ბიზნესით დაკავდა. 2013 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მას ბრალი დასდო 12 მილიონი დოლარის ქრთამის სახით აღებაში, რის სანაცვლოდაც 2007-2012 წლის პერიოდში ის პროტექციას უწევდა კონტრაბანდული ალკოჰოლის ტრაფიკს უკრაინიდან. მაგრამ მის საქმეში მთავარი ბრალდება ეხება 2008 წელს და ტელეკომპანია „იმედს“. თავის დროზე, მან აიძულა მთავარი აქციონერი, ჯოზეფ ქეი ტელეკომპანია 10 მილიონი დოლარის სანაცვლოდ დაეთმო.

* * *

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დავით კეზერაშვილი მარსელის ციხეში საექსტრადაციო პატიმრის სტატუსით იმყოფება და ექსტრადიციის ვადა უკვე ამოეწურა. საქართველოს მთავარ პროკურატურას მიცემული ჰქონდა ვადა ფრანგული მხარისთვის დოკუმენტების გადასაგზავნად, რასაც კეზერაშვილის ექსტრადირება უნდა მოჰყოლოდა. საქართველოს პროკურატურაში ამბობენ, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი საფრანგეთში უკვე გაგზავნილია. თუ საფრანგეთის სასამართლო კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირებას დათანხმდება, ამ პროცესს, შესაძლოა, ერთი წელი დასჭირდეს, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შემდგომ ინსტანციებში შეიძლება გასაჩივრდეს. ხოლო, საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებას იღებს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი.

როგორ, რა საშუალებით გაუჩნდა მას ასეთი შემოსავლები და როგორ მოახერხა მან, მინისტრობიდან გადადგომისთანავე გამხდარიყო მილიონერი. ეს ადასტურებს იმ ეჭვს, რომ მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს დაკავებული იყო ფულის გათეთრებით, საკუთარი ბიზნეს-ინტერესების ლობირებით!

კეზერაშვილის ადვოკატი ირწმუნება, რომ, საქართველოს გარდა, არც ერთ ქვეყანაში კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული არ არის და ფრანგ გამომძიებლებს იგი არ დაუკითხავთ. უბრალოდ, ქართული მხარე მას სპირტის ბიზნესიდან დიდი თანხების მიღებას და ტელეკომპანია „იმედის“ მითვისებას ედავება.

მანანა ნოზაძე

პრობლემა დროულად გადაჭრას ითხოვს

როგორ გადავარჩინოთ საქართველოში ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო-საინჟინრო და ინტელექტუალური პოტენციალი?!

ბოლო წლებში განვითარებულმა ცნობილმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა საქართველოს მეცნიერებას დიდი ზიანი მიაყენა: დაიხურა ათობით კვლევითი და სამეცნიერო ინსტიტუტი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია, დაუფინანსებლობის გამო დაიქსაქსა მეცნიერული კადრები, პრაქტიკულად მოსპობის პირასაა მისული ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და ყოველგვარი წინსვლის პერსპექტივა.

ასეთივე საშიშროების წინაშე იდგა ერთ-ერთი ძლიერი და წარმატებული სამეცნიერო კერა — ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, რომლის მიღწევებიც ცნობილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ქართული სამეცნიერო სკოლის პრობლემებსა და შესაძლო პერსპექტივებზე ვესაუბრეთ ამავე ინსტიტუტის დირექტორს, გ. ნიკოლაძისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ

გიორგი თავაძეს.

— ბატონო გიორგი, ვიდრე ყველა იმ პრობლემურ საკითხს შევეხებოდეთ, რაც წინა ხელისუფლების დროს შეექმნა ერთ დროს ყველაზე ცნობილ და ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს, იქნებ მკითხველს მოკლედ მოუთხროთ ინსტიტუტის ისტორიის, მისი მიღწევების შესახებ და შემდეგ გვიამბოთ იმ სტრატეგიულ გზებზე, რომლებითაც პრობლემების აღმოფხვრა შეიძლება.

— სიამოვნებით. მეტალურგია, როგორც ლითონის მიღებისა და ნაკეთობების დამზადების წესი ქართველებისთვის უძველესი დროიდან ბუნებრივი და აუცილებელი საქმიანობა გახლდათ, მსგავსად მიწის დამუშავებისა. ჭიათურის მანგანუმის ქარხნის უნიკალურმა საბადომ განაპირობა საქართველოში პირველი მსხვილი მეტალურგიული პროფილის ქარხნის აშენების აუცილებლობა. მოგახსენებთ, რომ გასული საუკუნის ოციან წლებში არა მარტო საბჭოთა კავშირში, უცხოეთშიც კი არავის ჰქონდა ფერომანგანუმის ელექტროდნობის გამოცდილება. ქარხნის გეგმარება, მშენებლობა და სამრეწველო ათვისება წესისამებრ მოითხოვდა ადგილობრივი ნედლეულის ქარხნულ გამოცდას, მრავალი ტექნიკური მაჩვენებლის დადგენა-დაზუსტებას. ეს ყოველივე ითავა გიორგი ნიკოლაძემ, რომლის თაოსნობითაც 1929 წელს აიგო დიდუბის საცდელი ელექტროღუმელი ფერომანგანუმის მიღების ტექნოლოგიის დასამუშავებლად. სწორედ ეს მომენტი შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში თანამედროვე მეტალურგიული მრეწველობის დასაწყისად. რაც შეეხება ჩვენი ინსტიტუტის წინამორბედს, გნებავთ „ჩანასახს“, ასეთი იყო 1935 წელს ქიმიის ინსტიტუტში გახსნილი მეტალურგიის განყოფილება, რომელიც მეტალურგიის სფეროში კვლევების განხორციელებას ისახავდა მიზნად. 1937 წელს განყოფილება ლაბორატორიად გადაკეთდა, ხოლო ომის შემდეგ, 1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 1951-89 წლებში ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ფერდინანდ თავაძე, რომლის სახელსაც ინსტიტუტი 1990 წლიდან ატარებს. ინსტიტუტი მართლაც გახლდათ წარმატებული, მისი თაოსნობით მთელს საბჭოთა კავშირში განხორციელდა მრავალი მსხვილი, სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი: სამანქანათმშენებლო საწარმოებში ღუმლების გაზიფიკაცია, მეტალურგიულ ქარხნებში ბანდაჟიანი ბოყვების წარმოება, ფოლადის ღუმელგარეშე დამუშავების ტექნოლოგია და ა.შ. სხვათა შორის ამ უკანასკნელი ტექნოლოგიის ლიცენზია 1986 წელს შეიძინა მსოფლიოს მიერ მეტალურგიის „მეტრად“ აღიარებულმა გერმანულმა ფირმამ „კრუპმა“, ისინი ამ მეთოდით დღესაც ამუშავებენ თხიერ ფოლადს, ჩვენ კი თითებს ვილოკავთ. ეს ტექნოლოგია მეტალურგიის მინისტრის კალპაკოვის ბრძანებით ჩაინერგა საბჭოთა კავშირის ყველა მეტალურგიულ გიგანტში - მაგნიტოგორსკის, ჩერეპოვეცის, ნიჟნი ტაგილის და სხვა მეტალურგიულ კომბინატებში.

— ბატონო გიორგი, ასეთი ისტორიისა და სახელის მქონე ინსტიტუტი, რომლის მსგავსსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიც კი ინატრებდნენ, რამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ ლამის დახურვის პირას მივიდა?

— საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ინსტიტუტები მსოფლიო მეცნიერთა სამჭედლოს წარმოადგენს. წინა ხელისუფლების დროს მოხდა აკადემიიდან ინსტიტუტების გამოყვანა და მათი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე გადაცემა, რამაც შემდგომში გამოიწვია ის, რომ რამდენიმე ათეული ინსტიტუტი გამოაძევეს თავიანთი შენობებიდან.

— რამდენიმე ათეული?

— დიახ, შემიძლია მათი სიაც წარმოგიდგინოთ, მაგრამ საკმარისი იქნება რამდენიმე, მსოფლიო დონის ინსტიტუტის დასახელებაც: ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ვგონებ საკმარისია, თუ გავაგრძელო?

— ეს ხომ ეროვნული მეცნიერების განადგურების ვანდალთა მიერ გეგმაზომიერი, მზაკვრულად შემუშავებული გეგმაა, ბატონო გიორგი?..

— სწორედ ეს არის ჩემი და ჩემი კოლეგების წუხილი, რომელიც ეხება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიმართ განხორციელებულ გენოციდს. ამას ჰქონდა ადგილი წინა ხელისუფლების დროს და რაოდენ სამწუხაროა, რომ გარკვეულწილად ახლაც არსებობს რეალური საშიშროება ინსტიტუტების შენობების გაყიდვისა და ათეული წლობით დაგროვილი ცოდნისა და საქართველოს სამეცნიერო ინტელექტუალური პოტენციალის განადგურების.

— ძალზე ძნელია საუკუნეების განმავლობაში ნაგროვები ცოდნა-გამოცდილებითა და შეესაფერის პირობებში შექმნილი მძლავრი ინტელექტუალური ცენტრების მავანთა მიერ ერთი ხელის მოსმით განადგურებულის კვლავ აღდგენა.

— მართალს ბრძანებთ. ეკონომიკური აღორძინების გზა, რომლის გავლაც მოუწევს საქართველოს, გარკვეულწილად გავლილი აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. რასაკვირველია, ეს გზა იყო ძალზედ რთული, მაგრამ მათ მიერ მიღწეული შედეგები მართლაც რომ შთამბეჭდავია, სულ ორ მაგალითს მოვიყვან. მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული, ნაცარტუტად ქცეული გერმანია და იაპონია ძალზედ რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: დანგრეული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საკომუნიკაციო საშუალებები, ფიზიკურად განადგურებული, ან ქვეყნიდან გაქცეული სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები არ გამოირჩევიან ჭარბი ბუნებრივი რესურსებით, მათ შეძლეს, შედარებით მცირე დროში შეექმნათ მძლავრი, კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, რომელმაც დაიწყო კიდევაც უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ფართო სპექტრის გამოშვება და მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტიც დაიკავა. ამან კი ქვეყნის აყვავება გამოიწვია უცხოური ვალუტის მძლავრი შემოდინებით. ყოველივე ეს მიღწეული იქნა გონივრული და ზუსტი სტრატეგიით.

— კარგი მაგალითი და სხვათა მიღწევების გაზიარება არც ჩვენ გვაწყენდა.

— ასეთივე მიდგომამ რამდენიმე წლის შემდეგ, უშეცდომოდ და ყოველგვარი ჩავარდნის გარეშე „იმუშავა“ სამხრეთ კორეაში და ე.წ. „აზიური ქვეყნებისა“ და „პატარა დრაკონების“ ქვეყნებში - ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი, მოგვიანებით კი ჩინეთში, ინდოეთსა და მექსიკაში.

— ბატონო გიორგი, ჩვენს ქვეყანას ისტორიაც და მეტალურგიის მძლავრი კერაც გააჩნდა. ამიტომ ძნელი არ უნდა იყოს გასაჭირიდან გამოსვლა. თქვენ, რა თქმა, უნდა თქვენეული სტრატეგიაც გაგაჩნიათ. იქნებ აგვიხსნათ რა უდევს საფუძვლად ამ სტრატეგიას?

— მოგეხსენებათ პირველი ესაა ქვეყნის ყველა შესაძლებლობის სრული მობილიზება უმაღლეს სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე მომუშავე კონკურენტუნარიანი საწარმოების შესაქმნელად. მათ შორის მაღალი ტექნოლოგიების უახლესი ლიცენზიების, მასალებისა და ნაკეთობების შეძენით. აუცილებელია საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის, ე.ი. სამეცნიერო-საინჟინრო კადრების მომზადება. აქვე, ძალზე მნიშვნელოვანია სპეციალისტების მომზადება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა — წარმოების ორგანიზაცია, ფინანსები, საბანკო საქმე, მარკეტინგი და ბიზნესი. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მძლავრი სახელმწიფო მართვის სისტემის შექმნა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს წესრიგს და მძლავრ სახელმწიფო ნებას, რასაკვირველია, მძლავრმა სახელმწიფო მართვამ შეიძლება გამოიწვიოს საშიში წინააღმდეგობები საზოგადოების დემოკრატიული სტრუქტურის ფუნდამენტურ პრინციპებთან მიმართებით, ამიტომ, სახელმწიფო მმართველობას მოეთხოვება დიდი სიბრძნე და ზომიერება, რათა ქვეყანას ააცილოს ერთის მხრივ სუსტი მმართველობა და მისი შედეგები — ანარქია, ხოლო მეორეს მხრივ არ დაამყაროს მკაცრი დიქტატურა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საფუძველზე ეკონომიკის აღორძინებასთან დაკავშირებული მოვლენების რთული პირამიდა, გამართული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ პროდუქციისათვის ჩამოყალიბებულია ბაზარი.

— ბატონო გიორგი, კონკურენტუნარიანი ბაზარი ვგონებ, ყველაზე მთავარია ჩვენში ეკონომიკური სასწაულის მოსახდენად.

— რა თქმა უნდა, ჩემს მიერ დასახელებული სამი ფაქტორი — მაღალი ტექნოლოგია, კადრები და ხელისუფლების ძლიერი ნება — აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობაა წარმატების მისაღწევად. მხოლოდ ბაზარზე დამკვიდრება იძლევა წარმატების საკმარის გარანტიას. და ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა — ეკონომიკური „სასწაულის“ უკლებლივ ყველა ქვეყანაში ჩადებული იყო მსხვილი ინვესტიციები.

— თქვენ საუბრის დასაწყისში მეტად მტკივნეულ ფაქტზე ისაუბრეთ — გაუქმებული და „გასაუქმებელად“ გამზადებულია უამრავი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, არა მარტო ქართველ, არამედ მსოფლიო მეცნიერთა სამჭედლო. თქვენს მიერ ჩამოთვლილი, „ეკონომიკის სასწაულის“ სტრატეგიებიდან ერთ-ერთი უპირველესი და წამყვანი პირობაა სამეცნიერო და ინტელექტუალური პოტენციალი. ჩვენთან კი ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა მეცნიერებისადმი ვანდალური შეტევის წყალობით.

— მართალს ბრძანებთ. საქართველოს სამეცნიერო და ინტელექტუალურ პოტენციალს ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო სკოლები: მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის, მასალათმცოდნეობის, გეოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა ცნობილი სამეცნიერო დაწესებულებების სახით. უკვე ბოლო ორი ათეული წელია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები სტაგნაციის მდგომარეობაში არიან, მათ არა აქვთ საშუალება, შეიძინონ პერიოდული სამეცნიერო ლიტერატურა, გადაიხადონ ელემენტარული კომუნალური გადასახადები, განაახლონ კვლევითი აპარატურა. სამწუხაროდ დახურვა-გაუქმებას გადარჩენილი სამეცნიერო ინსტიტუტების შენობების გაყიდვის ტენდენცია დღესაც გრძელდება.

— და რა გაძლევთ იმედს, რომ ამ პირობებში შევძლებთ მართლაც „სასწაულის“ მოხდენას?

— ამჟამად საქართველოში მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სავალალო მდგომარეობაში ყოფნის მიუხედავად, ქვეყანას სამეცნიერო ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ ძალუძს უმოკლეს ვადებში შექმნას და აითვისოს მაღალტექნოლოგიური პროცესები და აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მათი მონაწილეობით შექმნილი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ნომენკლატურა. ეს გახლავთ ნათელი მაგალითი იმისა, თუ სახელმწიფოს, ან კონკრეტული უწყების მხრიდან გამოჩენილმა დაინტერესებამ და ყურადღებამ, როგორ შეიძლება თითქმის განადგურებული ინსტიტუტებიდან უმოკლეს ვადაში, ეს უმოკლესი ვადა კი სამი წელი იყო, შექმნას მძლავრი, რეიტინგული სამეცნიერო ცენტრები, ხოლო მათი უშუალო მონაწილეობით კი კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

— რა გადაარჩენს ქართულ სამეცნიერო პოტენციალს? იქნებ იმედისმომცემ ნოტაზე გადავიდეთ და თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე რაიმე რჩევა მაინც მივცეთ მთავრობას, რომელიც მომავალ წელს იმედიანად გვისახავს?

— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უპრიანი იქნება, საქართველოს ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო-საინჟინრო და ინტელექტუალური პოტენციალის გადარჩენის და მათი სახელმწიფო ეკონომიკური აღმშენებლობის საქმეში ჩართვის მიზნით, შეიქმნას სახელმწიფო კომისია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომელიც შეაფასებს ქვეყნის სამეცნიერო-ინტელექტუალური სიმდიდრის რეალურ ღირებულებას და სახელმწიფოს მისცემს რეკომენდაციას მისი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შესაძლო გამოყენებაზე.

— დიდი მადლობა, ბატონო გიორგი, იმედიანი საუბრისთვის. იმედია, ჩვენი მეცნიერების სატკივარს, თავად მეცნიერები თუ მიიტანენ იმათ ყურამდე, ვინც ქვეყნის აღმშენებლობასა და ეკონომიკურ სასწაულს გვპირდება.

ესაუბრა

მამუკა ვაშაკიძე

„სრ“. სპეც. კორ.

P. S. პატივცემული მეცნიერის ნაფიქრალ-ნააზრევი მართლაც ყურადსაღებია. მთავრობამ დროზე უნდა მიხედოს დანგრევის პირას მისულ მეცნიერებას, რომელსაც სულ ოციოდე წლის წინათ წამყვანი ადგილი ეკავა მსოფლიოში და ინტელექტუალთა შორის სეფე სიტყვის თქმის უფლება ჰქონდა. ეს პრობლემა არა მარტო მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის წინაშე, არამედ ჯერ კიდევ მავანთა მიერ მიზანმიმართულად განწირულთა რიგში მდგომ ინსტიტუტთა წინაშეც დგას. რისი „ჩარეცხვაც“ წინა ხელისუფლებამ მოასწრო, ახალმა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს. ქართველ მეცნიერთა სამჭედლო შველას ითხოვს

მ. ვ.

დიახ, ეს კაცი ჩვენი კოლეგაა!

როცა კრიტიკის სამიზნეს მიკერძოებით, არაობიექტურად ვირჩევთ!..

ერთი მიზანმიმართულად სახელგამტეხი კამპანიის გამო

დეკემბრის ბოლოს, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№50) გამოქვეყნდა დ. ჩუბინიძის მიერ მომზადებული მასალა-ინტერვიუ, რომლის დრამატული თემა ჟურნალისტს საჭიროდ მიაჩნია, რომ გააცნოს სახელმწიფოს პრემიერს და პრეზიდენტს; ყოველ შემთხვევაში, მასალა ყურადღებას იქცევს ამ ორი პირის და დაზარალებული პაციენტის ფოტოებით, და დიდი, ლამის „საპლაკატე“ შრიფტით დაბეჭდილი მოწოდებით, რომ გააცნოს ქვეყნის ხელმძღვანელებს, რა „საგანგაშო“ ფაქტის წინაშეა ჩვენი მედიცინა და საზოგადოება; იქვე, ოღონდ ოდნავ ნაკლები ზომის შრიფტით, „ნაძირლების“ და „კორუმპირებულების“ კონტექსტში მოხსენიებულია საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ევროპისა და ამერიკის უროლოგთა ასოციაციის აქტიური წევრი, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, შვედეთის ინსტიტუტის, ევროპისა და გერმანიის ურولოგთა ასოციაციის გრანტების მფლობელი, უმაღლესი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი, ონკოუროლოგი, ბავშვთა ურولოგი, ექიმი გურამ ქარაზანაშვილი.

ვისაც ოდნავ მაინც ჰქონია შეხება თბილისის საავადმყოფოებში ურولოგიურ სფეროსთან — მე კი ამ შემთხვევაში საკმაოდ სტაჟიანი გამოცდილების პაციენტი ვარ და შემიძლია ბევრის სახელით ვილაპარაკო — ასეთმა პიროვნებამ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ თითქმის ოცი წელია, რაც გურამ ქარაზანაშვილის სახელი მუდმივად მოიხსენიება რესპუბლიკის რამდენიმე სხვა წამყვან და თვალსაჩინო სპეციალისტთან ერთად. ამიტომ გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, განსაკუთრებით ის, ვინც კონკრეტული სფეროსგან დისტანცირებულია, შეიძლება აიყოლიოს მასალის არა მხოლოდ დრამატულმა თემამ, არამედ ტექსტის ჭარბმა ემოციურობამ და ტექსტის „აჟიტირებულმა სტილისტიკამ“, სადაც მჭახე სალანძღავი ლექსიკის ხარჯზე, მიჩქმალულია ფაქტის სხვა ობიექტური ნიშანი და „გამორჩენილია“ მიზანში ამოღებული სადისკრედიტაციო პირის დამატებითი მახასიათებლები და დეტალები.

ამიტომ, გურამ ქარაზანაშვილის სახელის უღლებასთან, და ზემოხსენებულ ეპითეტებთან ერთად, „უვიც, უწიგნურ და კორუმპირებულ“, „ძალად მაცხონე „პროფესორთან“ ერთად, განა უპრიანი არ იქნებოდა გამოცდილი ჟურნალისტისთვის, „ისე მაინც“, მერე რომ ჩემნაირ მადლიერ პაციენტებს არ შეეხსენებინათ მისთვის —და ბარემ ყოველკვირეულის რედაქციისთვის, კიდევ ის, რომ ეს პიროვნება ერთადერთი ურولოგია საქართველოში, რომელმაც დაიმსახურა საქართველოს ეროვნული პრემია; ერთადერთი ექიმია საქართველოში, რომელმაც მიიღო მსოფლიოში აღიარებული ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის (გერმანია) სამეცნიერო გრანტი და რამდენი ხანია (!), რაც არის ევროპისა და ამერიკის ურولოგთა ასოციაციის წევრი; რომ მის კაბინეტს ამშვენებს გერმანიის, ბონის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ურولოგიური კლინიკაში ქირურგიული საქმიანობის ნებართვის დამადასტურებელი დიპლომი; ჰოლანდიის, ავსტრიის, ამერიკის ურولოგიური კლინიკებსა და საავადმყოფოებში გაცემული დიპლომები; სხვადასხვა კონფერენციების მონაწილეთა აუარება ფოტოები, სადაც გურამ ქარაზანაშვილი თავის მეგობრებთან, მსოფლიოს წამყვან ურولოგებთან ერთად არის გადაღებული.

ასე რომ, საქმე ეხება ფაქტის გადმოცემის ფორმას. დ. ჩუბინიძის მიკერძოებული და შეწუხებული ტონი ადამიანურად გასაგებია, რადგან ნაკარნახევია ინტერვიუერის ბედით და ჯანმრთელობის მდგომარეობით, მაგრამ, როდესაც მასალას ამზადებს გამოცდილი ჟურნალისტი, ის ხომ პროფესიული თვალსაზრისით ვალდებულია, რომ უკეთ და ობიექტურად შეისწავლოს კრიტიკის სამიზნე. ასეთ შემთხვევაში დ. ჩუბინიძე გაიგებდა უამრავი პაციენტისათვის, და არა მხოლოდ პაციენტისათვის ცნობილ „დეტალებს“ გურამ ქარაზანაშვილის კვალიფიკაციის შესახებ, მის მიერ წარმატებით ჩატარებული ოპერაციების ფაქტებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, დაინახავდა მის წვლილს ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის სფეროში, ისევე როგორც მისი სადოქტორო შრომის აქტუალობის ამბავს, და კიდევ ბევრ სხვა დეტალებს - თუმც, სტატიაში ჭარბად მოხსენიებულ სალანძღავ ტერმინებთან ერთად კიდევ ასეთი დეტალების მოხსენიება ძალიან დამაბნეველი იქნებოდა.

ასე რომ, „მადლიერ პაციენტად“ რომ წარმოვადგინე ჩემი თავი, ჩემთან ერთად კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი მეგულება და მეგულებოდა ასეთივე განწყობით წარმატებული ექიმის მიმართ. ჩემი მხრივ, შემიძლია დავამოწმო მისი პროფესიული კვალიფიკაციის ძალიან ადრეული ისტორია, დაწყებული 1993 წლიდან, როდესაც გურამ ქარაზანაშვილმა, სრულიად ახალგაზრდამ, მოსკოვში წარმატებით დაცულ საკანდიდატო დისერტაციის შემდეგ, შემინარჩუნა ჯანმრთელობა რესპუბლიკური საავადმყოფოს მაშინდელ წარმოუდგენელ პირობებში; ჯანმრთელობა და — ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, ფაქტია, რომ სიცოცხლეც.

ამიტომ, ჩემი ამ გამოძახილის მიზანია, საჭირო კორექტივი შევიტანო ჟურნალისტის მიერ წამოწყებული მრავალმიმართულებიანი კვლევის საქმეში, სადაც თანმიმდევრულად დასმული შეკითხვების საფუძველზე, დ. ჩუბინიძემ თავი მოუყარა დაინვალიდებული პაციენტისგან მოსმენილ ემოციურ, თან სხვადასხვა პლანის მასალას; მაგრამ, ამასთანავე, ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა, გადაემოწმებინა პაციენტის საფუძვლიანი გულისტკივილის და წყენის პიროვნული სამიზნის კიდევ სხვა ფაქტები და სიმართლე — უშუალოდ დაზარალებულის მიღმა არსებული ის სინამდვილე, რაც — თავად ავტორს დავესესხები — „აქსიომატური ჭეშმარიტებაა“, და ამით დაიცავდა ჟურნალისტიკის პროფესიულ, და ზოგადად ზნეობრივი კოდექსის ანბანურ წესსა და ნორმას.

დიახ, ან არ გადაამოწმა, ანდა არ ჩათვალა საჭიროდ, რომ ეხსენებინა. ნუთუ შეგნებულად, და თუკი ასეა, რატომ?

თუმც, შემიძლია აქვე დავაკმაყოფილო იმ პირთა სურვილი, ვინც დაინტერესდა პროფესორ ქარაზანაშვილის „პროფესიული ვინაობით“ — და მათთან ერთად, ბარემ იმათ გასაგონადაც, ვინც არ დაინტერესებულა, მოვიყვან მისი პროფესიული კარიერის ზეაღმავლობის მოკლე ნუსხას:

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი პროსტატის კიბოზე სამეცნიერო კვლევისათვის — 2011;

ამერიკის ურولოგთა ასოციაციის წევრი 2010 წლიდან;

ევროპის ურولოგთა ასოციაციის კლინიკური კვლევების ოფისის წევრი 2010 წლიდან;

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის სტიპენდიატი — 2006;

ამერიკის და ევროპის ურولოგთა ასოციაციების აკადემიური გაცვლის პროგრამის მონაწილე — 2003;

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი — 2002 წლიდან;

შვედეთის ინსტიტუტის სტიპენდიატი — 2000;

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) სტიპენდიატი — 1997;

გერმანიის ურولოგთა საზოგადოების სტიპენდიატი — 1996;

ევროპის ურولოგთა ასოციაციის სტიპენდიატი — 1995;

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი — 1991;

ამერიკულ და ევროპულ ჟურნალებში სამეცნიეერო პუბლიკაციების ავტორი https://www.researchgate.net/profile/Guram_Karazanashvili/publications/

კოტე გოგოლაშვილი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● 90-იანი წლები ფეისბუკზე:

— ტყუილი სუპის ფოტოები ინსტაგრამზე.

— მაგას ინტერნეტი მეტროდან აქვს შეყვანილი.

— აუ, დვიჟოკი დაარესტარტეთ, თორე გლობალი ნელა მოაქვს.

— „შუქი აქვს და არ მწერს“.

— ახალგაზრდა მხედრიონელს ჭირდება კალაშნიკოვის ტიპის ავტომატი. გთხოვთ, გავაზიაროთ და დავეხმაროთ ამ ახალგაზრდას

— რა თბილი ფოტოა, კერასინკა ჩავაქრე!

— თენგიზ კიტოვანმა მოიწონა „სამხედრო გადატრიალება“.

— სამხედრო გადატრიალების გეგმა at jabas sweet home.

● ვისი რა საქმეა ვინ ვისგან ელოდება შვილს?! გინდა ბოკუჩავა იყოს, გინდა ჯამასპიშვილი. მეტი პრობლემა არაა?

● ეჭვი მაქვს პარლამენტში პარლამენტარებისთვის რაღაც ფსიქოტროპულ ნივთიერებას უშვებენ. აბა, ბევრი მინახავს — ჯანმრთელი შესული, და დაქლიავებული გამოსული.

● გიორგი ონიანი იყო და არის ჩვეულებრივი ნაც-ზონდერ-ოფიცერი, როგორც სხვა მრავალი მოქმედი ძალოვანი ჩინოვნიკი! ასე, რომ ხელისუფლებას აქამდე უნდა ეზრუნა მათი დაკავებისა და დათხოვნისათვის სახელმწიფო სტრუქტურებიდან!!!

P. S. არც ეხლაა გვიან!

ღრმად რომ ჩავუფიქრდეთ, მაგარ პონტში ვართ, რაც მეტი მინუსი გვახვევია, მით მეტია შანსი უფლის გზას დავადგეთ, თუ, რასაკვირველია, სულიერებით ცხოვრების თანდაყოლილი მისწრაფება გვაქვს!

როგორ შეიძლება ეს ზონდერი დღეს ტელეეთერებიდან ადამიანის უფლებების დამცველად პიარდებოდეს?

ზაზა ხატიაშვილმა, თუ ის გნაცების თამაშს არ თამაშობს, გააკეთოს განცხადება და ადვოკატთა ასოციაციიდან ჩამოიშოროს ეს კრიმინალი!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

დავით დარახველიძე - რეპატრიანტის სტატუსი უკვე 1174 მუსლიმ მესხს აქვს

ამის შესახებ მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებს დევნილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ განუცხადა. მისივე განმარტებით, აღნიშნულიდან 7-მა უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ისინი საქართველოში ცხოვრობენ.

— დანარჩენ მუსლიმებსაც, რომლებიც დაახლოებით 300 ოჯახს წარმოადგენენ, შეუძლიათ, საქართველოში ნებისმიერ კუთხეში შეიძინონ უძრავი ქონება, ჩამოვიდნენ, იცხოვრონ. საქართველოს ხელისუფლება ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში, — განაცხადა დავით დარახველიძემ. ამასთან, მინისტრის თქმით, სხვა ფინანსური ვალდებულება საქართველოს არც მათი და არც ევროსაბჭოს წინაშე არ აუღია.

— მუსლიმ მესხებთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება წარმატებით მიმდინარეობს, — დასძინა მან და აღნიშნა, რომ დღეისთვის საქართველოში მთლიანობაში ათასამდე მუსლიმი მესხი დაბრუნდა.

ინტერპრესი

„რიგი, რომელიც არ მოვა“

ᲕᲘᲜᲪ კი ოდესმე დევნილთა პრობლემებით დაინტერესებულა, არავისთვის არ არის უცხო, თუ რა კარცერის პირობებში უხდებოდათ (რაც დღემდე გრძელდება) ცხვარიჭამიაში ჩასახლებულ დევნილებს ცხოვრება. როდესაც, დევნილებმა აპლიკაცია გაიარეს ქ. თბილისში. რეაბილიტირებულ დევნილთა საცხოვრისებზე, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველები ცხვარიჭამიელები იყვნენ. მათი არჩევანი ყვარლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელზე შეჩერდა. დარწმუნებულები იყვნენ, თუ სამართლიანად მოხდებოდა ბინების განაწილება, წინ ვერავინ დაუდგებოდათ.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაში. ბინები განაწილდა, ცხვარიჭამიაში ჩასახლებული დევნილები კი... უბინაოდ დარჩნენ. დევნილთა სამინისტროში მიზეზი ასე განმარტეს: მართალია, თქვენ კი ხართ თბილისში, გლდანის რაიონში რეგისტრირებული, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა გავიგეთ, რომ ცხვარიჭამია მცხეთის რაიონის ტერიტორიაში შედისო. ეს დევნილებისთვის სიახლე იყო, 17 წლის განმავლობაში მათ საბუთებში თეთრზე შავით ეწერა გლდანი. მთელი ამ წლების განმავლობაში სოციალური კავშირები მხოლოდ და მხოლოდ გლდანის რაიონთან ჰქონდათ. ამ ყველაფერს წინ უძღოდა დევნილთა სამინისტროს, კერძოდ მინისტრის ბრძანება (№621, 2013 წლის 28 ოქტომბერი) „დევნილთა გრძელვადიანი, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმების და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტში შევიდა ცვლილება, რაც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების პროექტის შესაბამისად, დევნილი ოჯახებისათვის, საცხოვრებელი ფართების შეთავაზებისას კომისიამ, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს დევნილთა ადგილობრივი განსახლების აუცილებლობა, რათა მოხდეს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დევნილი ოჯახის ფაქტობრივ საცხოვრებელთან იმ მანძილზე, რომელიც უზრუნველყოფს უკვე არსებული სოციალური კავშირების და შემოსავლის შენარჩუნებას“. ერთი შეხედვით, ეს ჰუმანური აქტია, მაგრამ ცხვარიჭამიელ დევნილთა მიმართებაში, კანონში შეტანილი ცვლილება, არავის მხედველობაში არ მიუღია. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ეს ადამიანები არ იყვნენ თბილისში რეგისტრირებულნი, მათ საერთოდ, რატომ მისცეს უფლება გაეარათ აპლიკაცია თბილისში არსებულ საცხოვრებლებზე? ამ შეკითხვას სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსმა, ბატონმა ლევან ბარდაველიძემ ასე უპასუხა: თურმე ცვლილება 2010 წელს განხორციელებულა, რისი მიხედვითაც დევნილთა მოწმობაში, თბილისის მაგივრად უნდა დაფიქსირებულიყო მცხეთა, მაგრამ ამაზე ინფორმაცია დევნილებს კი არა, ჩვენ არ გვქონდაო ეს დოკუმენტი, მხოლოდ მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც დევნილებს მათ ხელში არსებული დოკუმენტის მიხედვით, კანონის შესაბამისად აპლიკაცია უკვე გავლილი ჰქონდათ. ნუთუ, ერთ წელიწადზე მეტი დრო არ იყო საკმარისი, დოკუმენტაციას წესიერად გაცნობოდნენ, მეტი კომპეტენტურობა გამოეჩინათ ამ საკითხის მიმართ? რა ვქნათ, შეცდომა მოგვივიდა, ეს პასუხი არ არის. მაშინ ყველაზე დიდი შეცდომა ომი იყო, რომელმაც ამ ადამიანების ბედი მავანთა სათამაშო გახადა. რაღა, მაშინ აღმოაჩინეს „შეცდომა“, როცა საქმე, ბინების განაწილებაზე მიდგა? რამდენად სამართლიანად მოექცნენ ამ ადამიანებს, ამას, ალბათ, სასამართლო გადაწყვეტს, რომელიც უახლოეს კვირაში ჩატარდება. დევნილებს, სათქმელი დაუგროვდათ, ისინი პრესით, ტელევიზიით უკვე ამბობენ იმ სათქმელს, რომელიც მთელი 20 წლის განმავლობაში ღრღნით.

აი, რას ყვებიან ისინი:

ᲖᲐᲖᲐ ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ, იურისტი. ომის ვეტერანი (ვეტერანის მოწმობა №15030015 39). სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებითა და შეღავათებით (რა და როგორ ისარგებლა, ეს სხვა საკითხია). დევნილის საბუთში რეგისტრირებულია გლდანში — ცხვარიჭამია, ტურბაზა „სიჭაბუკე“, რეგისტრაციის №005-04515. 005 არის გლდანის კოდი. დღემდე, მის საბუთებში ფიქსირდება 005:

„ოცი წელია, ვცხოვრობ ცხვარიჭამიაში. ჩვენი მდგომარეობა ყველასათვის ნათელია. სახალხო დამცველის ანგარიშში ორჯერ მოხვდა აქ არსებული სიტუაცია, დევნილთა სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა, მოეგვარებინათ ჩვენი პრობლემა. ახლა ახალი შარი მოგვდეს: თქვენი რეგისტრაციის ადგილი შეცდომით არის მითითებულიო. ვითხოვ დოკუმენტს, თუ რის საფუძველზე მიგვაკუთნეს მაშინ თბილისის ერთ-ერთ რაიონს გლდანს? რა გარემოებებით იყო ეს განპირობებული? პასუხად ლევან ბარდაველიძემ სასამართლოზე განაცხადა, რომ ასეთი საბუთი ვერ მოიძიეს. სამაგიეროდ, არსებობს მინისტრის ბრძანება (№126. 14.06.2013 წ.), რომელიც ხელში მიჭირავს — რომ მე ზაზა ჩიქოვანს, შემეთავაზოს ბინა ქ. თბილისში ჩემს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე. დღეს რა გამოდის, თუ რეგისტრაციის ადგილი 2010 წლიდან გაუქმებული მქონდა, არ უნდა მცოდნოდა? ვიღაცამ, ხომ უნდა აგოს ამაზე პასუხი? კანონმორჩილი ადამიანი ვარ, სხვებივით არ მოვქცეულვარ, არავის კარი არ შემიტეხია. სახელმწიფოს მწირ შესაძლებლობებს ვუწევდი ანგარიშს, სად არის იმის საშუალება, ჩვენთვის რომ მოიცალონ-მეთქი. წლების მანძილზე ველურად ხდებოდა ფართების დასაკუთრება, რაც შემდგომში დაუკანონდათ კიდევაც. როგორც ჩანს, ჩემნაირი ადამიანების ბედი არავის ანაღვლებს. ველოდები რიგს, რომელიც არასოდეს არ მოვა. ვიფიქრე, იქნებ ბინა ვიქირავო-მეთქი, მივმართე სამინისტროს, შუამდგომლობა გამიწია ვეტერანთა დეპარტამენტმა, მაგრამ უარი მითხრეს. ამ დროს დევნილთა სამინისტრო თავის თანამშრომლებს უხდის ქირას, ვისაც უნდა გადაამოწმოს. შეიძლება ისინი არ იყვნენ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით, მაგრამ ხელფასი იმდენი აქვთ, რომ შესწვდებიან, საკუთარი შემოსავლით იქირაონ. ამის მერე, რა სინდისით ეუბნებიან უარს შემოსავლის არმქონე ადამიანს, სოციალურად დაუცველს, ვეტერანს, ქირის გადახდაზე? ცხვარიჭამიაში, ძირითადად, ათას უბედურებაგადატანილი ადამიანები ცხოვრობენ, მათ გამოიარეს ომიც და ჭუბერიც. რა იყო ჩვენი დანაშაული, ის, რომ აფხაზეთში დავიბადეთ და გავიზარდეთ? დღემდე ყველა გამვლელის თითით საჩვენებლი ვართ, ნახეთ ეს საწყლები, რა გაჭირვებაში ცხოვრობენო. მეც შევძლებდი სადმე წასვლას, როგორ არა, მაგრამ სამშობლოზე შეყვარებულმა ადამიანმა რატომ უნდა დავტოვო სამშობლო? ბოლოს, ერთ რამეს ვიტყვი, იქნებ ერთხელ მაინც შეიქმნას პრეცედენტი დევნილთა სამინისტროში და ისე განაწილდეს ბინები, რომ სამართლიანობის პრინციპი არ დაირღვეს?!“.

ᲘᲐ ᲨᲐᲨᲘᲨᲕᲘ, ომის ვეტერანი, სამი მცირეწლოვანი შვილის დედა, სოციალურად დაუცველი. მეუღლე ავადმყოფია, I ჯგუფის ინვალიდი:

„ომი რომ დაიწყო, პირველივე დღიდანვე ვმუშაობდი უმცროს მედდად. მაშინ 17 წლის ვიყავი. ვითომ, სამშვიდობოს გამოვაღწიე, მაგრამ ვაი, ასეთ მშვიდობას. მეუღლეს ფსიქიკა შეერყა, ორჯერ თვითმკვლელობა სცადა. ლოგინს არის მიჯაჭვული. წვალებით ვშოულობ ჩემი შვილებისათვის სარჩო-საბადებელს. წლებია, მივმართავ დევნილთა სამინისტროს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თხოვნით, მაგრამ ამაოდ. მთელი დევნილობის ჟამს დარეგისტრირებული ვარ ქ. თბილისში, კერძოდ გლდანში. დღეს გვეუბნებიან, ეს შეცდომა არისო.

რატომ, ბინების გადანაწილების დროს აღმოაჩინეს შეცდომა? სად იყვნენ აქამდე? ყველანაირი სოციალური კავშირები მხოლოდ გლდანის რაიონთან გვქონდა. მეტროს ბილეთებიც კი დაგვირიგეს, თავის დროზე. ამიტომ ვდაობთ რეგისტრაციას. აბლოთიასთან ვიყავი დეკემბრის დასაწყისში (მინისტრის ერთ-ერთი მოადგილეა). ჩემთან ერთად, სოლიდური მამაკაცი ელოდებოდა, როგორც ჩანდა, ყველას კარგად იცნობდა, ბინები შემომთავაზეს, მაგრამ ფასადი არ მომწონს და რამდენჯერ შემიძლია უარის თქმა, აბლოთიასთან კონსულტაცია უნდა გავიაროო. როგორც კი გამოჩნდა ბატონი აბლოთია, პირველივე, ურიგოდ ის კაცი შეიყვანა. შემდეგ მე შევედი, გავაპროტესტე ეს ფაქტი, ჩემზე წინ რატომ მიიღეთ-მეთქი, რა მექნა აბა, ეს კაცი, აფხაზეთის მთავრობის მაღალჩინოსანია და შენზე წინ, როგორ არ უნდა მიმეღოო. აი, ასეთი ადამიანების ხელშია ჩვენი ბედი. ვაჟის დედა ვარ, ყველა მშობლის ვალია, შვილს სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგოს, და თუ ქვეყანას დასჭირდა, უყოყმანოდ გაწიროს თავი მისთვის. მაგრამ, მე რომელი სამშობლოს სიყვარული ვასწავლო? სამშობლოსი, სადაც ყოველ წუთს ირღვევა ჩვენი უფლებები, სადაც განწირული ვართ ტანჯვისთვის, სადაც ადამიანად არავის მივაჩნივართ. სამინისტროს წარმომადგენელმა, ბარდაველიძემ ასე მომახალა, რომ არ გეჩივლათ ბინებს ხომ მიიღებდითო. ჩვენნაირ გაჭირვებულს თუ კრიჭაში ჩაუდგებიან, მაშინ მართლა კარგად გვქონია საქმე, ჩემს ოჯახს ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულა ჰქონდა, ყვარლის ქუჩაზე წინ ვერავინ დამიდგებოდა, მაგრამ ბოლოს ასეთი მახე დაგვიგეს. ახლა სასამართლოს იმედით ვარ, ეგებ ვიპოვო სამართალი“.

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ: „ათი წლის განმავლობაში მათ გვერდით ვცხოვრობდი. მათთან ერთად გავიარე დევნილობის უმძიმესი წლები. პროფესიით ექიმი ვარ, შესაძლებლობების ფარგლებში ვემსახურებოდი მათ ჯანმრთელობას. ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური თანამგზავრი შიში, ავადმყოფობა, შიმშილი იყო. დავკარგეთ ჯანმრთელობა. 1996 წლიდან ჩემი დროებითი რეგისტრაციის ადგილი ქ. თბილისი, გლდანი იყო. ამას არაერთი დოკუმენტური წყარო მოწმობს. მე ახლობლების დახმარებით როგორღაც დავიძვრინე თავი გასაჭირიდან, რასაც ცხვარიჭამიის დევნილები დღემდე გადიან. არაფერს ვითხოვ, უბრალოდ ამ ადამიანების გვერდით ვარ. ამ ადამიანებს ცხოვრებამ მძიმე დაღი დაასვა, ბევრი მათგანი ინვალიდია. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს, სადღაც უნდა გარიყონ ეს ადამიანები. რასაც ახლა ვიტყვი, ყოველთვის და ყველგან გავიმეორებ: „ვარსკვლავბიჭუნები“, რომლებიც სამინისტროში მუშაობენ, ამ ხალხს ზიზღით უყურებენ, აბუჩად იგდებენ, ეს დამოკიდებულება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ ვინმეს არ მოეწონება ჩემი ნათქვამი, მზად ვარ, ყველა მათგანს ფაქტებით ველაპარაკო“.

როგორც ვხედავთ, ამ ადამიანებმა ოცწლიანი დუმილი დაარღვიეს. სააშკარაოზე გამოიტანეს თავიანთი ტკივილი, თითოეულ მათ სიტყვას უდიდესი ემოცია სდევს თან. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ სამინისტროს დღევანდელი მაღალჩინოსნები არიან დამნაშავენი იმ მოზღვავებული პრობლემების გამო, რაც დევნილ საზოგადოებას აწუხებს, მაგრამ კონკრეტული ფაქტებისთვის, რაც ცხვარიჭამიელ დევნილებთან მოხდა, ლომის წილი დარახველიძის უწყებას მიუძღვის.

ერთ რამეზე მინდა, გავამახვილო ყურადღება: ის ადამიანებიც, რომლებმაც 2013 წლის სექტემბერში გაიარეს აპლიკაცია ყვარლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრისში და, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდნენ, ითხოვენ ინფორმაციას, აინტერესებთ თავიანთი სარეიტინგო ქულა, რისი გაგებაც მათთვის ხელმიუწვდომელი გახდა. ცხელ ხაზს, რომელიც სამინისტროში მუშაობს, ამაზე მხოლოდ ბუნდოვანი პასუხი აქვს.

ᲜᲐᲢᲝ ᲮᲐᲤᲗᲘᲐᲜᲘ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

მართლმადიდებელთა კრებულის ხელმძღვანელი ხელოვნების მუზეუმში არსებული სიწმინდეების აღრიცხვას ითხოვს

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ხსნების დღე მართლმადიდებელთა კრებულის წარმომადგენლებმა გუშინ ხელოვნების მუზეუმის წინ პრესკონფერენციით აღნიშნეს. მართლმადიდებელთა კრებულის ხელმძღვანელის ზაზა ნანობაშვილის განცხადებით, ჟურნალისტური მოკვლევითა და პროკურატურის ინფორმაციით, ბოლო წლებში 300-მდე ექსპონატია დაკარგული და სიწმინდეების ადგილმდებარეობის მოძიება არ ხდება. მისივე თქმით, არის შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო აუქციონებზე აღმოჩენილა ასეთი ნივთები, დაკარგული ექსპონატების მოძიება კი ინტერპოლის დახმარებით არ ხდება, რადგან ინტერპოლთან საჭირო დოკუმენტაცია გაფორმებული არ არის.

ნანობაშვილი მიიჩნევს, რომ მუზეუმში დროულად უნდა ჩატარდეს ინვენტარიზაცია, რათა გაირკვეს, რა სიწმინდეები არსებობს და მოხდეს მათი დაცვა. „აცხადებენ, რომ ამას 10-15 წელი სჭირდება, ასე ამბობდნენ 2002 წელსაც, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატი გაფორმდა. თითქოს შეგნებულად არ აკეთებენ. არსებობს პატრიარქის სიტყვა, რომ საწყობში არსებული სიწმინდეები უნდა აღირიცხოს“, — აღნიშნა ნანობაშვილმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლება მოახერხებს დაკარგული სიწმინდეების მოძიებას და ამ საქმეში ინტერპოლის ჩართვას.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ არჩევანის წინაშე

„ძართველებს გამბედაობის გარდა, სხვა არჩევანი არ აძვს“, — ამ სათაურით აქვეყნებს დავით უსუფაშვილის წერილს New Europe. პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, საქართველოს მოქალაქეები ეთანხმებიან, რომ დასავლეთისადმი ერთგულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დემოკრატიზაციისთვის. თუმცა, იქვე ამბობს, რომ ევროპეიზაცია საქართველოში ორ რამეს უნდა აღნიშნავდეს, ჩვენ უნდა გადავინაცვლოთ პიროვნებათა შორის მწვავე კონკურენციისა და კონსენსუსზე დამყარებული პოლიტიკიდან არსებით პოლიტიკურ კონკურენციაში, რომელიც ეფუძნება პიროვნებათა შორის ძირეულ პატივისცემას. დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს კონკრეტული შედეგის - მაპის მოლოდინი აქვს და იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგი არ დაიდო, მაშინ, შესაძლოა, გარკვეული საფრთხეები ევროინტეგრაციის კუთხითაც გამოიკვეთოს.

რა საფრთხეების არსებობაზე საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარე, ამ საკითხზე for.ge ექსპერტს რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

„თუ რამ აბრკოლებს ევროპულ სტრუქტურებში ჩვენს გაერთიანებას, უფრო ევროპული მხარეა და არა ქართული“

— რამ განაპირობა პარლამენტის თავმჯდომარის ეს პრინციპული და ხმამაღალი განცხადება დასავლეთთან მიმართებაში?

— ის, რომ დასავლეთის პოლიტიკა გადასახედია და არა მარტო საქართველოს მიმართ, ეს მკაფიოდ აჩვენა უკრაინის პროცესებმა. ამ მოვლენების ფონზე, პარლამეტის თავმჯდომარის ეს პოზიცია ფაქტობრივად გაფრთხილებაა დასავლეთისთვის და ახსენებს კიდეც იმას, რომ შეიძლება მომავალი ხელმოწერა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, არაორაზროვნად, ეს ისევ რუსეთზე მინიშნებაა.

ასე რომ, ხანდახან დასავლეთს სჭირდება ანალოგიური დახმარება სწორი პოზიციის გამომუშავებაში და მე მგონია, რომ ასეთი დახმარების სტილში ზის უსუფაშვილის ეს განცხადება. უკრაინის ფონზე მოულოდნელი განცხადება არაა. ჩვენ ვიცით რა ხდება კულუარებში, მაგრამ სხვა ფაქტორები რომც არ არსებობდეს, უკრაინის მაგალითი ასეთი განცხადებისთვის საკმარისი იქნებოდა.

— პარალამენტის თავმჯდომარე ხაზგასმით ამბობს, რომ საქართველო ბუქარესტის სამიტის დანაპირებს არ ივიწყებს და მიუხედავად იმისა, რომ დაკისრებულ მოვალეობებს ქვეყანა პირნათლად ასრულებს, კონკრეტული შედეგი ამ დრომდე არ ჩანსო. დაკისრებულ მოვალეობაში, ალბათ, იგულისხმება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება, სასამართლოს პოლიტიკური გავლენისგან განთავისუფლება, ადამიანის უფლებები, რაც იყო მთავარი პირობა. ეს ფაქტორი საკმარისი არაა იმისათვის, რომ ბუქარესტის სამიტზე ეჭვქვეშ არ დადგეს მაპის მინიჭების საკითხი?

— ჩემს კოლეგებს, ანალიტიკოსებს პოლიტიკოსებთან შედარებით ერთი უპირატესობა გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ის, რასაც ისინი არ ამბობენ. ოფიციალურად, როდესაც მაპზე უარი გვითხრეს, ჩვენ წამოგვიყენეს ის მოთხოვნები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, მაგრამ თითქმის ყველასთვის ცხადი იყო ამ გადაწყვეტილების არაოფიციალური მხარის არსებობა. ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებები და სხვა რამ არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც რუსეთის პოზიცია.

სწორედ ის, რომ რუსეთის პოზიციამ დახურა ჩვენთვის ნატოს კარები, სწორედ ეს არის მინიშნებული უსუფაშვილის განცხადებებში, როცა ის ამავე დროს ასე მიანიშნებს ხელმოწერის ფაქტზე. ყველამ იცის, რომ ხელმოწერის ფაქტში თუ რამე იქნება ბარიერი ისევ და ისევ რუსეთი იქნება. ასე რომ, როგორც რუსეთი იყო დაბრკოლება მაპის თემაში, შეიძლება ასევე აღმოჩნდეს დაბრკოლება ხელმოწერის თემაში. ეს მინიშნება გააკეთა უსუფაშვილმა და სავსებით ლოგიკურად.

— იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ ბუქარესტის სამიტზე ვერ მიიღო მაპი, შესაძლოა, ევროინტეგრაციის კუთხით გარკვეული საფრთხეები გამოიკვეთოს?

— საფრთხეები შეიძლება გამოიკვეთოს იმ თვალსაზრისით, რომ მაპის არმიღება უფრო დაუცველს ხდის საქართველოს და დაუცველობის შემთხვევაში, რუსეთს შეეძლება, გაატაროს თავისი ინტერესი, იმასთან მიმართებაში საქართველო უნდა იყოს თუ არა ჩართული ევროსტრუქტურებში. ამ თვალსაზრისით უსუფაშვილის პოზიცია არის სწორი.

— უახლოეს თვეებში ქვეყანამ ხელი უნდა მოაწეროს ასოცირების ხელშეკრულებას. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, არავის უნდა მივცეთ საშუალება, რომ ეს პროცესი შეაფერხოს - არც გარე და არც შიდა ძალებს. გარე ძალებში გასაგებია, რომ იგულისხმება რუსეთი, მაგრამ შიდა ძალებში, როგორ ფიქრობთ, რა იგულისხმა?

— გარე ძალებში იგივე ძალა იგულისხმება, რაზეც იანუკოვიჩმაც კი მიუთითა, ხელი შემიშალა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაშიო და ეს არის რუსეთი. რაც შეეხება შიდა ძალებს, აქ უფრო ბუნდოვანი მდგომარეობაა, ვეთანხმები მათ, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოში არიან ძალები, რომლებიც სხვადასხვანაირად თვლიან, რომ უნდა მოევლოს რუსეთის ფაქტორს. რუსეთის გამმართლებელი ძალები და მისი მომხრეები რაღაც არ მახსენდება, მაგრამ მეორეს მხრივ, მარცხმა შეიძლება შექმნას განწყობილება, მოდით რუსეთს უფრო მეტი ანგარიში გავუწიოთ და ვაკეთოთ ის, რაც რუსეთს უნდა. საზოგადოება ამის საფუძველს იძლევა, მასში ასეთი განწყობილებები ნამდვილად ტრიალებს.

— თუმცა, ჯერ ამას მკაფიო პოლიტიკური სახე არ მიულია...

— მაგრამ არსებობენ პოლიტიკური პარტიები, სადაც ასეთი პოლიტიკური განწყობა ნელ-ნელა შეიძლება გამოიკვეთოს. შიდა საფრთხეები, ბუნებრივია, არსებობს.

— ხშირად ხდება პარალელების გავლება ბალტიის ქვეყნებთან, რომლებმაც ევროკავშირში და ნატოში გაწევრებით განამტკიცეს საკუთარი უსაფრხოება და მეორეს მხრივ, მიაღწიეს ეკონომიკურ კეთილდღეობას. რამდენად სწორია ამ ქვეყნებთან პარალელების გავლება და რას უნდა ველოდოთ, როდესაც ჩვენ გვაქვს ორი ოკუპირებული ტერიტორია და პარალელურ რეჟიმში გრძელდება მავთულხლართების გაბმის პროცესი?

— საკითხი აქტუალურია და სავსებით ვეთანხმები მის ასე დასმას. დავუშვათ და მოეწერა ხელი ასოცირების ხელშეკრულებას და გავხდით ევროკავშირის სტრუქტურებთან უფრო დაახლოებული, ან ჩავერთეთ ნატოს სტრუქტურებში. ნატოს სტრუქტურებში ჩართვა, რა თქმა უნდა, ზრდის უსაფრთხოების შანსებს, მაგრამ იმის თქმა, რომ ეკონომიკური განვითარების პირობაც იქნება, მე მგონია, რომ ძნელია. ბალტიის ქვეყნებთან შედარება, ჩვენს სასარგებლოდ არ მეტყველებს.

— უსუფაშვილის ეს განცხადებები შეიძლება განვიხილოთ როგორც მოწოდება ევროპელი პარტნიორების მიმართ, რომ მხარი დაუჭირონ საქართველოს და რუსეთთან მიმართებაში არ დატოვონ ერთი-ერთზე?

— ამ წერილში ნახსენებ შიდა ფაქტორებზე თუ გავაკეთებთ აქცენტს, მე ამ წერილსაც და შექმნილ მდგომარეობას ისეთ კომენტარს გავუწევდი, რომ ჩვენ ევროპისგან გვჭირდება როგორც საგარეო საფრთხესთან გამკლავებაში მხარდაჭერა, ისე შიდა პოლიტიკურ საფრთხეებთან ბრძოლაში ევროპული მხარდაჭერა. გარდა საგარეოსი, შიდა საფრთხეების კატასტროფული განვითარებისგან დაცვაში უნდა ევროპელების დახმარება უსუფაშვილს, რასაც სავსებით ვეთანხმები.

— ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია დამოკიდებულია მხოლოდ დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერაზე, საქართველოს ხელისუფლებას არ ეკისრება პასუხისმგებლობა?

— ეკისრება და მთელი ამ ხნის განმავლობაში მაგ პასუხისმგებლობაზე აპელირებენ ჩვენი მეგობრები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველმა საზოგადოებამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, სწორედ დემოკრატიის მიმართულებით და გადადგა არა ევროპის ხათრით, არამედ თავისი მისწრაფებით დემოკრატიისკენ. საზოგადოებამ უკვე დააკმაყოფილა ის მოთხოვნა, რომ ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ევროპულ სტანდარტებს მხარს აუბამს და ვთვლი, რომ ასეთი ხელისუფლება დღეს გვყავს.

ანალოგიური მდგომარეობა, როგორიც საქართველოშია, არის ბევრ ევროპულ ქვეყანაში და მათ შორის, ისეთ ქვეყნებში, რომელიც ევროპული ქუდის ქვეშ არიან გაერთიანებულნი, კიდევ უარესი ვითარებაა. ასე რომ, დღეისთვის თუ რამე აბრკოლებს ჩვენს გაერთიანებას ევროპულ სტრუქტურებში, ეს უფრო ევროპული მხარეა და არა ქართული. ჩვენს სასიცოცხლო ინტერესში შედის ევროპულ სტრუქტურებში შესვლა, მაგრამ არის თუ არა საქართველოს ამ სტრუქტურებში შეყვანა ევროპული პოლიტიკის ინტერესში, აი ეს დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე

„ევრომაიდანზე“ ღამემ შეტევის გარეშე ჩაიარა, მაგრამ ძალოვანები გადაიყვანეს კიევის ცენტრში, სადაც ხელისუფლება აპირებს დიდ „ანტიმაიდანს“

ათობით ავტობუსი მილიცია „ბერკუტის“ და შინაგანი ჯარების მებრძოლებით განლაგებულია სამთავრობო კვარტალის ქუჩების გასწვრივ. ადრე რეგიონების მმართველი პარტიის მომხრეები აწყობდნენ 40-ათასიან მიტინგს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად, რომლის მიღებასაც რადაში უმრავლესობა აპირებს ხუთშაბათს. ამ დროს სპეცნაზის მიერ ნაცემი ექსმინისტრი ლუცენკო საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ეს.

* * *

პეკინი სძელი ტვიფით დაიფარა: არ მოჩანს ცათამბჯენები, დახურულია ავტოგზები

ტვიფმა თავმოყრა დაიწყო ქალაქის თავზე ჯერ კიდევ ოთხშაბათს. ღამის განმავლობაში მისი სიმკვრივე იზრდებოდა. მავნე ნაწილაკების კონცენტრაციამ ჰაერში ხუთშაბათს 400-500 მიკროგრამი შეადგინა ერთ კუბურ მეტრზე, რაც ოცჯერ აჭარბებს დასაშვებ ნორმას.

* * *

სკანდალი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებში: მორაკეტე ოფიცრები ნარკოტიკებს იყენებდნენ

ამ დროს თერთმეტიდან სამი საბრძოლო მორიგეობას აწარმოებდა იმ ბაზებზე, სადაც განთავსებულია სახმელეთო ბაზირების ბირთვული მიკროკონტინენტალური რაკეტები. ამას გარდა 34 ოფიცერი „გამოიჭირეს“ თაღლითობაში ტესტების დროს კვალიფიკაციის შეფასებისას.

* * *

ხოდორკოვსკი ბერლინში ბრუნდება

მას იქ განზრახული აქვს შეხვდეს და პირადად გადაუხადოს მადლობა მათ, ვინც მას მხარს უჭერდა. ამას გარდა, იუკოსის ყოფილი ხელმძღვანელი მონაწილეობას მიიღებს ჰენრიხ ბიოლის ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნება მისი ადვოკატის იური შმიდტის სსოვნას, ვინც ერთი წლის წინათ გარდაიცვალა.

◎ ამერიკა-საქართველო

ქართული მოდერნიზმი კოლუმბიის უნივერსიტეტში

მზია ჩიხრაძე

2011 წლიდან კოლუმბიის უნივერსიტეტში ისწავლება კურსი სახელწოდებით: „მოდერნისტული დისკურსი ევროპის პერიფერიაზე: ქართული მოდერნიზმი კულტურათა გზაჯვარედინზე.“ მოწვეული პროფესორი კი გახლავთ ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი მზია ჩიხრაძე, რომლის სადისერტაციო თემა გახლდათ: „თანამედროვე ქართული ნახატის განვითარების ანალიზი ედმონდ კალანდაძის, ზურაბ ნიჟარაძის, დიმიტრი ერისთავის და გივი კასრაძის შემოქმედების მაგალითზე“. საქართველოში მზია ჩიხრაძე გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე 1988 წლიდან მუშაობს, პარალელურად კი ლექციებს სხვადასხვა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში კითხულობს, მაგალითად, 2011 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკისმცოდნეობის კათედრაზე ამერიკული ხელოვნების ისტორიას ასწავლიდა. ამჟერად კი იგი ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტშია, სადაც ქართულ მოდერნიზმს ასწავლის, ჰყავს მაგისტრანტი და დოქტორანტი სტუდენტები, რომლებიც კავკასიის რეგიონითა და პოსტ-სოციალისტური, პოსტ-საბჭოთა სივრცით არიან დაინტერესებული. კონტინგენტი ინტერნაციონალურია, თუმცა ჯგუფში ძირითადად ამერიკელი სტუდენტებია. ზოგიერთმა მათგანმა კი ქართულიც იცის.

— მზია, როგორ აღმოჩნდით კოლუმბიის უნივერსიტეტში?

— 2009 წელს, ჩემს კოლეგებთან ნანა ყიფიანსა და თეა ტაბატაძესთან, მხატვარ ლევან ჭოღოშვილსა და შვეიცარიელ კურატორ დანიელ ბაუმანთან ერთად ჩელსიში ქეისი კაპლანის გალერეაში ქართული მოდერნიზმის გამოფენა მოვაწყვეთ, კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის დირექტორი, ქ-ნი ქეთერინ ნეპომნიაში აღნიშნული გამოფენით ძალიან დაინტერესდა და მთხოვა მსგავსი გამოფენა ჰ არიმანის ინსტიტუტშიც მოგვეწყო. შევთანხმდით, რომ ჩავატარებდით საერთაშორისო კონფერენციას ქართული მოდერნიზმის შესახებ და გამოფენასაც მოვაწყობდით. მართლაც, 2010 წელს დიდი კონფერეცია მოვუძღვენით ქართულ მოდერნიზმს, სადაც მოწვეული იყვნენ მოდერნისტული და თანამედროვე ხელოვნებისა თუ ლიტერატურის წამყვანი მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, ჰარშა რამი, ფრანსუაზ ლერგისი, ქეთერინ ნეპომნიაში, პამელა რენერი, თეა ტაბატაძე, ქეთი შავგულიძე და სხვა ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტები (სტატია ამ კონფერენციის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა — **ი.მ.**). კონფერენციამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რომ მალევე მიმიწვიეს კოლუმბიის უნივერსიტეტში ზემოაღნიშნული კურსის წასაკითხად.

— რატომ აღმოჩნდა მოდერნიზმის თემა ასე მნიშვნელოვანი ორივე ქვეყნისთვის და რა მიზანი აქვს ამ სასწავლო კურსს?

— გლობალიზაციის და კულტურული ინტეგრაციის პირობებში, მნიშვნლოვანია თანამშრომლობა ისეთ ამერიკულ ინსტიტუციასთან, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების პირველ ოცეულში შედის. ეს არის ქართული თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო გზა. ქართულ-ამერიკული ურთიერთობები გარდა პოლიტიკისა, სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ კავშირებსაც მოიცავს. დღეს, კულტურული ინტეგრაციისა და ინტელექტუალური ურთიერთობების გაძლიერების ფონზე, მნივნელოვანია ჩვენი ხელოვნების ისტორია, მისი უნიკალურობა ამერიკელ სტუდენტებსა და აკადემიურ საზოგადოებას გავაცნოთ, ვაჩვენოთ თანამედროვე დასავლური ხელოვნების ისტორიაში ქართული მოდერნიზმის ადგილი და მნიშვნელობა. სამწუხაროდ, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ, ჩვენ ერთიან საბჭოთა სივრცეში რუსეთთან თანაარსებობა მოგვიწია, უცხოეთში თანამედროვე ქართული ხელოვნება ხშირად აღიქმება, როგორც რუსული ხელოვნების ნაწილი. დღემდე ამ დამკვიდრებული აზრის შეცვლა ვერ მოხერხდა მრავალი მიზეზის — საბჭოთა პერიოდში არასწორად ინტერპრეტირებული ხელოვნების ისტორიისა, თუ ხელოვნების ისტორიაში კვლავ არსებული თეთრი ლაქებისა და სხვათა გამო. ამ პირობებში ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში აღნიშნული სალექციო კურსის წაკითხვა მოდერნისტული ხელოვნების იდენტურობის გამოვლენისა და მისი უნიკალურობის წარდგინებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სასწავლო კურსის მიზანი კი გახლავთ, სტუდენტებს შევასწავლოთ და განვიხილოთ საქართველოში მოდერნიზმის განვითარების ისტორია და მისი პოლიტიკა, ვაჩვენოთ ქართული მოდერნიზმის ადგილი და როლი მოდერნიზმის დისკურსის კონტექსტში. ამ მიზნით კურსის დიდი ნაწილი ეთმობა და აანალიზებს ევროპული და რუსული მოდერნისტული ხელოვნების მნიშვნელოვან მოვლენებს ქართულ ხელოვნებასთან და თბილისურ ავანგართთან კავშირში.



— როგორია თქვენი სტუდენტების უკუკავშირი.

— ჩემს მიერ ჩატარებული სახელოვნებო კურსის შემდეგ ჩემი სტუდენტები სერიოზულად დაინტერესდნენ საქართველოთი, მისი ხელოვნებითა და ისტორიით, მისი დღევანდელობით. შედეგად მივიღეთ ის, რომ ჩემი შარშანდელი სტუდენტებიდან ერთ-ერთი ამჟამად საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის ასწავლის სპეციალიზირებულ სკოლაში და მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას თავის მოსწავლეებს უზიარებს. ასევე, ჩემი მეორე სტუდენტი დაინტერესდა რა ქართული კულტურითა და ხელოვნებით, 2012 წლის აგვისტოში იმყოფებოდა თბილისში და სახელმწიფო მუზეუმის არქივში ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ილია და კირილე ზდანევიჩების შესახებ დაცულ მასალაზე მუშაობდა. ამჟამად ის მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე ილია ზდანევიჩის შესახებ.

— რამდენად მნიშვნელოვანია და შეაძლებელია სახელოვნებო პარალელების „მოძიება“ ამერიკასა და საქართველოს შორის?

— ამერიკასთან დაკავშირებით დავით კაკაბაძე მახსენდება. მისი ნამუშევრებიდან დღეს შემორჩენილი კაკაბაძის ერთადერთი ქანდაკება და აკვარელით შესრულებული 16 აბსტრაქცია ინახება იელის უნივერსიტეტის ხელოვნების გალერეაში. ეს ნამუშევრები 1926 წელს შეიძინა ცნობილმა ამერიკელმა ავანგარდისტმა მხატვარმა და კოლექციონერმა კეთრინ დრაიერმა. ის სპეციალურად გაემგზავრა პარიზში საუკეთესო თანამედროვე ნამუშევრების შესაძენად, სადაც ეწვია დავით კაკაბაძეს და ზემოთ აღნიშნული ხელოვნების ნიმუშები იყიდა „სოსიეტე ანონიმის“ კოლექციისთვის. კაკაბაძის ქანდაკება Z, იგივე განგმირული თევზი იმავე 1926 წელს წარმოდგენილი იქნა ავანგარდული ხელოვნების გამოფენაზე ბრუკლინის მუზეუმში. მოგვიანებით დრაიერმა თავისი კოლექცია იელის უნივერსიტეტის მუზეუმს გადასცა. ეს საინტერესო ფაქტია ხელოვნების ისტორიიდან ორი მნიშვნელოვანი ფიგურის — ქეთრინ დრაიერისა და დავით კაკაბაძის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დავით კაკაბაძის ნამუშევრების შეძენის პროცესში აქტიურად იყო ჩართული ავანგარდული ხელოვნების უმნიშვნელოვანსი წარმომადგენელი - მარსელ დუშანი. ყოველივე ეს ამტკიცებს, თუ რაოდენ დაფასებული იყო კაკაბაძის შემოქმედება იმდროინდელ მხატვრულ წრეებში.

რაც შეეხება სახელოვნებო პარალელებს, უფრო მოგვიანებით ხანას გავიხსენებ. ეს არის 1940-50-იანი წლები ამერიკულ და ქართულ ხელოვნებაში. ეს იყო მნიშვნელოვანი პერიოდი ამ ორი, სრულიად განსხვავებული ისტორიული და პოლიტიკური წარსულის მქონე ქვეყანაში, სადაც მსგავსი მხატვრული მოვლენები განვითარდა. კერძოდ, ამერიკაში, ე.წ. ნიუ იორკის სკოლის წარმომადგენლებმა, ფიგურატიული მხატვრობიდან აბსტრაქტულისკენ გადაუხვიეს. ხოლო ქართველ მხატვართა ჯგუფმა, ე.წ. ორმოცდაათიანელებმა უარი თქვეს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე და მისდიეს რა ხელოვნების განვითარების შინაგან ლოგიკას, სახვითი საშუალებების ცხადად გამოვლინებამდე, უფრო მძაფრ ფერადოვნებამდე და მხატვრობის სპეციფიკის ენაზე ამეტყველებამდე მივიდნენ. ყოველივე კი მეტყველებს იმაზე, რომ ხელოვნებას აქვს თავისი კანონები, რაც მას შინაგანად მართავს და უცილობლად მიჰყავს მხატვრული ენის მაქსიმალურად გამოვლენასა და აჟღერებამდე. ეს პერიოდი, ამერიკისა და ქართული ხელოვნების ისტორიაში, როცა ფიგურატიული ხელოვნება ჩანაცვლა უფრო აბსტრაქტულმა, ფერწერულმა, სიბრტყის, ფერის, ხაზის, ლაქის გამომსახველობაზე დაფუძნებულმა ხელოვნებამ, იქცა თანამედროვე მხატვრობის ახალი ეტაპის საწყისად.

— რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ქართული მოდერნიზმი და თანამედროვე ხელოვნება არა მარტო ამერიკელი არტკრიტიკოსებისთვის, არამედ ზოგადად ხელოვანებისთვის, ხელოვნების ისტორიკოსებისთვის?

— ქართული მოდერნიზმი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ ქართული ხელოვნების ისტორიისთვის, არამედ მთელი თანამედროვე დასავლური ხელოვნებისთვისაც. 1910-1920-იან წლებში საქართველო ერთიანი დასავლური სამყაროს ინტეგრირებული ნაწილია. მაშინ, როცა საქართველო 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი სახელმწიფო ხდება, მისი დედაქალაქი კულტურის ცენტრად იქცევა. ისევე, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის პარიზი არის ევროპული კულტურის ცენტრი, თბილისიც კავკასიისა და რუსეთის კულტურის ცენტრი ხდება, სადაც გამორჩეული სამხატვრო საზოგადოება იყრის თავს და აქ დაგროვილი შემოქმედებითი ენერგია თავის მაქსიმალურ გამოხატულებას სწორედ რომ თბილისურ გარემოში აღწევს. ასე რომ, მოდერნიზმის საზღვრები დასავლეთიდან ევროპის აღმოსავლეთისკენ გადმოინაცვლებს.

დიდი ხნის განმავლობაში ეს ისტორიული მოვლენა არ იყო სათანადოდ გამოკვლეული, ან მიჩუმათებული და დაფარული იყო. ახლა უკვე შესაძლებელი და აუცილებელია ამაზე საუბარი. ეს პროცესი დაწყებულია და იმედია, რომ ხელოვანი ადამიანები, ხელოვნების ისტორიკოსები და ყველა დაინტერესებული პირი კარგად გაიცნობს და გააზრებს ქართული მოდერნიზმის და კერძოდ, თბილისური ავანგარდის მნიშვნელობას და განსაკუთრებულობას დასავლურ მოდერნიზმთან მიმართებაში.

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ

სურათებზე: მზია ჩიხრაძის სტუდენტი მარლო დეივისი (მას ძართული არასოდეს უსწავლია) მიერ ძართველი მხატვრების ნამუშევრების ამოცნობის ტესტირების დროს ძართულად მიწერილი მხატვრების სახელ-გვარები.

◎ ალიან-ჩალიანი

„იმიჯ-ცენტრმა“ „მის საქართველო 2013“-ის ფინალისტები და მთავარი პრიზი წარადგინა

კომპანია „იმიჯ-ცენტრი-“ს ორგანიზებით „ტოიოტა ცენტრ თბილისში“ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც მოხდა „მის საქართველო 2013“-ს ფინალისტებისა და მთავარი პრიზის წარდგენა.

წელს გამარჯვებული „მის საქართველო“ მთავარ პრიზად მიიღებს „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ მიერ დაწესებულ ელეგანტურ ავტომობილს, ახალ Toyota RAV4-ს.

შერჩეული 28 გოგონა აქტიურად ემზადება დასკვნითი ღონისძიებისთვის, რომელიც დაგეგმილია 26 იანვარს იმედის სტუდიის მე-4 პავილიონში, სადაც კონკურსანტები იბრძოლებენ ყველაზე პრესტიჟული სილამაზის კონკურსის „მის საქართველო 2013“-ის ტიტულის მოსაპოვებლად.

პროექტის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები. კონკურსანტები ფიზიკურ მომზადებას გადიან სპორტ-კომპლექს „არენაში“. მათ ჩაუტარდათ ფოტოგადაღება კიკალა-სტუდიოში. ფინალისტების გარეგნობაზე ზრუნავს სალონების ქსელი „მელანჟი“. მათ ჩაცმულობას უზრუნველყოფენ მოდის სახლი მარიონელა და შუზ-კაფე მადონა.

წარმომადგენლობითი ჟიური დაასახელებს ნომინაციებში გამარჯვებულებს, ტოპათეულს, ვიცემისებს და კონკურსის გამარჯვებულს „მის საქართველო 2013“-ს.

ХО-ЭОВ-ЭНО

◎ სტუმარი

შვეიცარიის საელჩო სოჭით დაინტერესდა

სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე თვეზე ნაკლები რჩება. საქართველოს დელეგაცია სოჭში ორ ნაწილად 4 და 6 თებერვალს გაემგზავრება.

როგორც ცნობილია, საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში ერთ-ერთი შუამავლის როლს შვეიცარია თამაშობს.

ამიტომაც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ჩვენს ქვეყანაში შვეიცარიის ელჩის მოადგილე ფლორიან გულბერი სტუმრობდა და სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტს, სოჭში, ოლიმპიურ სოფელში ქართული გუნდის მისიის ხელმძღვანელს მამუკა ხაბარელს შეხვდა.

სტუმარი დაინტერესდა, თუ რამდენი სპორტსმენით წარვსდგებით ოლიმპიურ თამაშებზე, რა მოლოდინი გვაქვს, როდის გაემგზავრება გუნდი და ზოგადად ორგანიზაციული საკითხებით.

გეჟან დოლიძე

◎ ჭადრაკი

ევროპის ოლიმპიადაზე დაუშვეს

2015 წელს ბაქოში დაგეგმილ ევროოლიმპიადის ფარგლებში მოჭადრაკეებიც იასპარეზებენ. აზერბაიჯანის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ აზად რაგიმოვის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ჭადრაკი არ ითვლება ოლიმპიურ სახეობად, ევროპულმა კომისიამ სპეციალური გადაწყვეტილებით ჭადრაკი და კარატეც ჩართო ოლიმპიადის სპორტულ სახეობათა რიცხვში.

ცნობისთვის, პირველი ევროპული ოლიმპიადის ჩატარების გადაწყვეტილება 2012 წლის დეკემბერში მიიღო ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენარალურმა ასამბლეამ. ევროპელი სპორტსმენები აზერბაიჯანის დედაქალაქში 2015 წლის 12-29 ივნისს იასპარეზებენ.

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერი

„ბოლონია“ ჭანტურიას ვარიანტს განიხილავს

იტალიური „ბოლონია“ ქართველი გიორგი ჭანტურიას შეძენის ან იჯარის წესით აყვანის ვარიანტს განიხილავს. ეს ინფორმაცია იტალიურმა Calciomercato-მ გაავრცელა. ჭანტურიას საკითხი აქტუალურია და ამჯერად უფრო მომწიფებულია ტრანსფერი.

ვნახოთ, „ვიტესი“ რამდენად დათანხმდება გიორგის სხვაგან გაშვებას. თავად ჭანტურია ჯერ კონკრეტულს ვერაფერს ამბობს, ისე კი „ვიტესიდან“ წასვლის წინააღმდეგი სულაც არაა. საქმეს ჭანტურიას იტალიელი აგენტი კარლო კავალიერი წარმართავს.

აქვე ვთქვათ, რომ „ბოლონია“ სერია A-ში ბოლოდან მესამე ადგილზეა.

გიორგი შოთაძე

◎ სეზონის წინ

„საბურთალომ“ თურქეთში სპარინგები დაგეგმა

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბი „საბურთალო“ თემურ შალამბერიძის ხელმძღვანელობით 2-დან 22 თებერვლამდე შეკრებას თურქეთში გაივლის და 6 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

„საბურთალოს“ პრესსამსახურის ინფორმაციით, შალამბერიძის შეგირდები საკონტროლო შეხვედრებს 5, 8, 12, 15, 18 და 21 თებერვალს ჩაატარებენ. „საბურთალოს“ სავარაუდო მეტოქეები არიან: ბულგარეთის A ლიგაში (უმაღლესი ლიგა) მოასპარეზე „ბეროე“, ამავე ქვეყნის B ლიგის (პირველი ლიგა) წარმომადგენლები „ბანსკო“ და „მონტანა“, ასევე უკრაინისა და ყაზახეთის პირველლიგელები „ოლექსანდრია“ და „კასპიი“. კიდევ ერთი მოწინააღმდეგის ვინაობა უახლოეს პერიოდში გაირკვევა.

შეკრებაზე გამგზავრებამდე „საბურთალო“ „ბენდელას თასზე“ ითამაშებს. შალამბერიძის გაწვრთნილები 18 იანვარს თანალიგელ „მარნეულს“ შეხვდებიან, 25 იანვარს – აზერბაიჯანის პირველი ლიგის „ქარადაგს“, 31 იანვარს კი – რუსთავის „მეტალურგს“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წლეგი – მისი სიმდიდრე

პირლომ „იუვენტუსთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა

34 წლის ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ ტურინის „იუვენტუსთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ Sky Sport Italia იუწყება.

ხელშეკრულება ორ წელიწადზეა გათვლილი, თუმცა, ოფიციალურად ტურინული კლუბის შეფები ამის შესახებ თებერვლის დასაწყისზე ადრე არ განაცხადებენ.

აქვე გეტყვით, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს „ბებერ ქალბატონთან“ ძველი კონტრაქტი მიმდინარე წლის ივნისში ეწურებოდა.

ამ სეზონში პირლომ „იუვეს“ შემადგენლობაში იტალიის სერია A-ში ჩატარებულ 15 მატჩში 3 გოლი გაიტანა და ერთი შედეგიანი პასი გააკეთა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფიგურული სრიალი

მეშვიდეზე – სამეულის შანსით



29 ძვეყნის 37 წარმომადგენელი იბრძოდა 24 საუკეთესოში მოსახვედრად უნგრეთის დედაქალაქში, სადაც ფიგურულად მოციგურავეთა კონტინენტის ჩემპიონატი დაიწყო. ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა ელენე გედევანიშვილმა მოკლე პროგრამით 54.78 ქულას მოუყარა თავი და მე-7 ადგილზე გავიდა.70.73 ქულით 18 წლის მოსკოველი სტუდენტი ადელინა სოტნიკოვა დაწინაურდა, რომელიც შარშანდელი მსგავსი შეჯიბრების ვერცხლის მედალოსანია. ახალგაზრდებში იგი 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და 2012 წლის ბრინჯაოს პრიზიორია.

თანამემამულეს 0,76 ქულით ჩამორჩება ევროპის ჩემპიონატების დებიუტანტი, 15 წლის ეკატერინბურგელი იულია ლიპნიცკაია, იუნიორებში 2012 წლის მსოფლიოს პირველობის ოქროს მედლის მფლობელი. 68.97 ქულით მესამე ადგილზეა 26 წლის იტალიელი კაროლინა კოსტნერი, მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატების ხუთგზის (2007, 2008, 2010, 2012, 2013) გამარჯვებული, რომელიც ორჯერ მეორე (2009, 2011) და ერთხელ მესამე (2006) ადგილებზე გავიდა. მოკლე პროგრამის შემდეგ 64.09 ქულით მე-4 ადგილზეა 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 23 წლის ალიონა ლეონოვა (რუსეთი). მეხუთე-მეექვსე ადგილებზე მოდიან ფრანგი მაე ბერენის მეიტე (58.64) და იტალიელი ვალენტინა მარკეი (57.38). ქალები თავისუფალი პროგრამით დღეს იასპარეზებენ და მედლების მფლობელებსაც გამოავლენენ.

მოკლე პროგრამით ისრიალეს მოცეკვავე წყვილებმა. ანგელინა ტელეგინამ და ოთარ ჯაფარიძემ 42.07 ქულით 29 დუეტს შორის 27-ე ადგილი დაიკავეს და, ცხადია, ფინალში ვერ მოხვდნენ. 69.58 ქულით იტალიელები - ანა კაპელინი და ლუკა ლანოტე დაწინაურდნენ. რუსები – ელენა ილინიხი და ნიკიტა კოსოლაპოვი ლიდერებს 0.04 ქულით ჩამორჩებიან.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

ძველით ახალი წელი, ღორის თავი და ლუიშ ფიგუ

საინტერესოა, რა უნდა აკავშირებდეთ ერთმანეთთან საქართველოში ძველით ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციასა და პორტუგალიელ აწ უკვე ყოფილ ფეხბურთელს ლუიშ ფიგუს? რა აკავშირებთ და, არც მეტი, არც ნაკლები, მისი უდიდებულესობა – ღორის თავი!

როგორც იცით, საქართველოს ბევრ კუთხეში ძველით ახალ წელს მოხარშული ღორის თავის სუფრაზე გამოტანა ფესვგაუხმობელი ტრადიციაა, ხოლო ლუიშ ფიგუ, თავის დროზე, როდესაც კატალონიის „ბარსელონადან“ მადრიდის „რეალში“ გადაბარგდა, გაბრაზებულმა კატალონიელმა ქომაგებმა პორტუგალიელ ბურთის მგორებელს, ალბათ გახსოვთ, რომ შუა სტადიონზე სწორედ ღორის თავი ესროლეს.

აბა, ქართველი რისი ქართველი იქნებოდა, ეს ორი ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა რომ არ შეეხამებინა? როგორც სანდო წყარო გვაუწყებს, ძველით ახალი წლის წინა დღეს, თურმე, თბილისის ერთ-ერთ ბაზარში მავანი გურული გლეხი ღორის თავებს ყიდდა დახლზე მიკრული წარწერით: „ღორის თავები ლუიშ ფიგუსაგან“. ბარაქალა იმ კაცს. იუმორიც ასეთი უნდა!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ იურიდიული კონსულტაცია

ეს სიახლეა!

კოლექტიური დავების განხილვა შემათანხმებელი პროცედურებით

საძართველოს ორგანულ კანონში – „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ, 2013 წლის 4 ივლისიდან, დამსაქმებელსა და დასაქმებულს უფლება მიეცათ, წინასწარი ნებართვის გარეშე შექმნან გაერთიანებები ან გაწევრიანდნენ სხვა გაერთიანებებში.

დამსაქმებელთა გაერთიანებას და დასაქმებულთა გაერთიანებას უფლება აქვთ, შეიმუშაონ საკუთარი წესდება და რეგლამენტი, შექმნან მართვის ორგანოები, აირჩიონ წარმომადგენლები და წარმართონ თავიანთი საქმიანობა. ორგანული კანონი მათვე ანიჭებთ უფლებას შექმნან ფედერაციები და კონფედერაციები და გაერთიანდნენ მათთან. ყოველ ასეთ გაერთიანებას (ფედერაციას ან კონფედერაციას) შეუძლია, შეუერთდეს დამსაქმებელთა საერთაშორისო გაერთიანებას და დასაქმებულთა საერთაშორისო გაერთიანებას.

ვინაიდან ასეთი სახით დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების შექმნა ერთგვარი სიახლეა ქართულ კანონმდებლობაში, ბუნებრივია ის ინტერესიც, რასაც ჩვენი რუბრიკის მკითხველები იჩენენ მითითებული საკითხის მიმართ: გვირეკავენ, გვეკითხებიან, გვთხოვენ დეტალურად გავაცნოთ საქართველოს მთავრობის მიერ ახლახან დამტკიცებული „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესი“ და ვუპასუხოთ მათ მიერ დასმულ კონკრეტულ საკითხებზე.

განვმარტავთ, რომ, როგორც მოქმედ შრომის კოდექსშია აღნიშნული, აკრძალულია დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო ან/და სხვა ქმედება, რომლის მიზანია: დასაქმებულის სამუშაოზე მიღება ან მისთვის სამუშაოს შენარჩუნება დასაქმებულთა გაერთიანებაში გაწევრებაზე უარის თქმის ან ასეთი გაერთიანებიდან გამოსვლის სანაცვლოდ; დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ან მისი სხვაგვარად შევიწროება დასაქმებულთა გაერთიანების წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო.

კითხვა: დასაშვებია თუ არა დასაქმებულის დასაქმებულთა გაერთიანებაში მონაწილეობა სამუშაო დროის განმავლობაში?

დიანა იმნაძე

პასუხი: დიახ, დასაშვებია, მხოლოდ დამსაქმებელთან შეთანხმებით.

დაუშვებელია დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების, მათი წევრების ან წარმომადგენლების მიერ ერთმანეთის საქმიანობაში ჩარევა ნებისმიერი ფორმით. აღნიშნულ შემთხვევაში, გაერთიანების საქმიანობაში ჩარევა გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანია გაერთიანების საქმიანობისათვის ფინანსური ან სხვა საშუალებებით ხელის შეშლა მასზე კონტროლის განსახორციელებლად.

კოლექტიური დავა (დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის) უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შეთანხმებული პროცედურებით, რაც გულისხმობს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე - 20 დასაქმებული) პირდაპირ მოლაპარაკების გამართვას ან მედიაციას, ერთერთი მხარის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისთვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.

2013 წლის 25 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესი“. რომელიც ვრცელდება შრომის კოდექსით რეგულირებული შრომითი ურთიერთობების დროს წარმოშობილ კოლექტიურ დავებზე.

იმისათვის, რომ დაინტერესებული მკითხველი უკეთ გაერკვეს „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ არსში, ვფიქრობთ, მას გარკვეულ დახმარებას გაუწევს ზემოაღნიშნულ წესში გამოყენებული ტერმინთა განმარტება, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

დავა – შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.

კოლექტიური დავა – კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა ან დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე, 20 დასაქმებული) შორის.

კოლექტიური დავის მედიაციის საორგანიზაციო სამსახური – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს კოლექტიური დავის მედიაციის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას.

კოლექტიური დავის მხარე – კოლექტიურ შრომით დავაში ჩართული კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტი ან დამსაქმებელი ან დასაქმებულთა ჯგუფი (სულ მცირე, 20 დასაქმებული).

კოლექტიური დავის მხარის წარმომადგენელი – შრომის კოდექსის 401 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლების შესაბამისად კოლექტიური დავის მხარის მიერ არჩეული ან/და შრომის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრული კოლექტიური დავის მხარის წარმომადგენელი ან/და იმ დამსაქმებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელიც კოლექტიური დავის მხარეა.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია – შრომის კოდექსის 521 მუხლით განსაზღვრული კომისია.

შემათანხმებელი პროცედურა – კოლექტიური დავის მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკება ან მედიაცია, რომელიც მიზნად ისახავს კოლექტიური დავის გადაწყვეტას.

მედიაცია – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) მიერ დანიშნული მედიატორის (შემდგომში – „მედიატორი“) უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით წარმართული შემათანხმებელი პროცედურა.

შემათანხმებელი კომისია – კომისია, რომელიც კომპლექტდება კოლექტიური დავის თითოეული მხარის თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისაგან შემათანხმებელი პროცედურებით კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, კანონის თანახმად, როგორ უნდა გადაწყდეს კოლექტიური დავა? უფრო კონკრეტულად, მაინტერესებს, ყველა შემთხვევაში აუცილებელია სასამართლოსთვის მიმართვა?

ნოდარ კაიშაური

პასუხი: არა, სასამართლოსთვის მიმართვა ყველა შემთხვევაში აუცილებელი არ არის; კოლექტიური დავა უნდა გადაწყდეს შემათანხმებელი პროცედურების დაცვით ან/და სასამართლოსათვის ან მხარეთა შეთანხმებით არბიტრაჟისათვის მიმართვის გზით.

პროცედურულად ეს შემდეგნაირად ხდება: კოლექტიური დავის დაწყებისა და შემათანხმებელი პროცედურების მისი გადაწყვეტის მიზნით კოლექტიური დავის ინიციატორი მხარის წარმომადგენელი მეორე მხარეს უგზავნის შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული კოლექტიური დავის წარმოშობის საფუძველი და მხარის მოთხოვნები. შემათანხმებელი პროცედურებით კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით კოლექტიური დავის მხარეები ქმნიან შემათანხმებელ კომისიას, რომელიც შექმნილად ითვლება პირველი სხდომის ჩატარებისთანავე და წყვეტს თავის არსებობას შემათანხმებელი პროცედურის დასრულებისას.

კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, რა შემთხვევაშია შემათანხმებელი კომისიის სხდომა უფლებამოსილი და მოქმედი კანონის თანახმად, ვინ უნდა გაუძღვეს მას?

ნელი ახალაია

პასუხი: შემათანხმებელი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას კოლექტიური დავის თითოეული მხრიდან ესწრება შემათანხმებელი კომისიის შესაბამისი მხარის წევრთა უმრავლესობა ან უფლებამოსილი უმრავლესობა, რომელიც განისაზღვრება შემათანხმებელი კომისიის რეგლამენტით. აქვე განვმარტავთ, რომ, თუ შემათანხმებელი კომისიის რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემათანხმებელი კომისიის სხდომებს მორიგეობით უძღვებიან კოლექტიური დავის მხარეთა ინტერესების გამომხატველი შემათანხმებელი კომისიის წევრები. მედიაციის მსვლელობაში, შემათანხმებელი კომისიის სხდომას შეიძლება გაუძღვეს ასევე მედიატორი.

შემათანხმებელი კომისიის სხდომის მიმდინარეობის შესახებ საოქმო ჩანაწერები და მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანება სხდომის ოქმში, რომელიც დგება ორ პირად და რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე შემათანხმებელი კომისიის წევრები. სხდომის ოქმის თითო პირი გადაეცემა კოლექტიური დავის თითოეული მხარის შესაბამის წარმომადგენელს. შემათანხმებელი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა წესები და პროცედურები განისაზღვრება შემათანხმებელი კომისიის რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს შემათანხმებელი კომისია.

დღეს აქ შევწყვეტთ შემათანხმებელი პროცედურებით კოლექტიური დავების განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარს, ხოლო აღნიშნულ თემაზე მკითხველებისთვის საინტერესო სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში შევეხებით.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი
ირინე ღლონტი

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი „საქნავთობის“ ღვაწლმოსილი ერთ-ერთი წამყვანი ხელმძღვანელი მუშაკი

გივი ასათიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ცოლ-შვილსა და ახლობლებს.

◎ ალიან-ჩალიანი

ჩვენი მოსახლეობა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მუშაობით უკმაყოფილოა

საძართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და ქვეყნის მოსახლეობა კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მუშაობით ძალიან უკმაყოფილოა, - ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ „ენერგო-პრო ჯორჯიის“ წარმომადგენლებთან მიმდინარე შეხვედრის დასაწყისში განაცხადა.

მისივე თქმით, ამინდის ერთი გაფუჭება, ქარის ამოვარდნა მაშინვე იწვევს ელექტროენერგიის გათიშვას.

როგორც კალაძემ განაცხადა, კომპანია ვალდებულია 24-საათიან რეჟიმში უზრუნველყოს ქვეყნისთვის ელექტროენერგიის მიწოდება.

– დღეს ჩვენი ინიციატივით იმართება ეს შეხვედრა. დიდთოვლობის გამო ბოლო პერიოდში ძალიან სერიოზული გათიშვები გვქონდა აჭარის რეგიონში და არ მოგვეცა საშუალება, შევხვედროდით და გვესაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც ქსელში არსებობს. არაერთხელ გამიკეთებია განცხადება, წინა პერიოდშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ვხვდებოდით რეგიონის ხელმძღვანელებს და აღირიცხებოდა ყველა ეს პრობლემა გამგებლებისგან, სოფლის რწმუნებულებისგან, იმ რაიონებსა და სოფლებში, სადაც ელექტროგადამცემი ქსელი იყო კატასტროფულ მდგომარეობაში და თქვენგან ითხოვდნენ დახმარებას. ეს პრობლემა გუშინ და დღეს არ დაწყებულა. წლების განმავლობაში ქვეყანაში ეს პრობლემა არსებობდა, თუ წინა ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავდა და არ აკეთებდა შენიშვნებს, მე ასე არ მოვიქცევი, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება სიმართლით მოვდივარ. ძალიან სერიოზული პრობლემებია თქვენს ქსელში, ძალიან უკმაყოფილო ვართ ენერგეტიკის სამინისტრო და ქვეყნის მოსახლეობა და ამ ყველა პრობლემას ჭირდება გადაჭრა. ჩვენ არ დავხუჭავთ პრობლემებზე თვალს, – განაცხადა კახი კალაძემ.

მინისტრმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ოზურგეთში „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მხოლოდ პიარის თანამშრომელი ჩავიდა იმ ხალხთან შესახვედრად, რომელსაც ელექტროენერგიის მოვარდნის გამო ტექნიკა დაუზიანდათ.

– მინდა, გამოვეხმაურო ტელეკომპანია „რუსთავი2-ზე“ გასულ სიუჟეტს, რომელიც ეხება ოზურგეთის მოსახლეობას. ძლიერი დენის გამო რამდენიმე მოსახლეს დაუზიანდა და დაეწვა ტექნიკა, თქვენი არც ერთი თანამშრომელი არ მისულა ამ ადამიანებთან და არ გაუკეთებია განმარტება. პიარის რომელიღაც თანამშრომელმა კი გააკეთა განცხადება, თითქოს შეიქმნებოდა კომისია. მე ვავალებ ჩემს მოადგილეებს, მოიკვლიონ თუ რა გაკეთდა, ასევე ვავალებ, რომ ყველა დაზარალებულ ადამიანს კომპანიის საშუალებით, რადგან მისი ბრალი იყო ეს ყველაფერი, აღუდგინოთ ან შეუძინოთ ის, რაც დაუზიანდათ, – განაცხადა კალაძემ.

კახი კალაძემ, სემეკ-ის თავმჯდომარეს, რომელიც ესწრებოდა გუშინდელ შეხვედრას, დაავალა, რომ წარმოადგინოს გეგმა ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდება ქვეყანაში ქსელის გაუმჯობესების კუთხით.

„კომპანია ვალდებულია, რომ ელექტროენერგიის მიწოდება უწყვეტ რეჟიმში იყოს უზრუნველყოფილი. ერთი ამინდის გაფუჭება. ქარის ამოვარდნა მაშინვე იწვევს ელექტროენერგიის გათიშვას, რა უბედურებაა ეს? სხვა ქვეყნებში არ მოდის თოვლი“, – განაცხადა კალაძემ.

შსს-ს 2013 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი მინისტრის წინაშე 2013 წლის მანძილზე შესრულებული საქმიანობის ანგარიშით წარსდგა.

ანგარიშთან დაკავშირებით შს ინფორმაციას აქვეყნებს, რომელშიც 3 მიმართულებით განხორციელებულ ძირითად მიღწევებზეა საუბარი.

„საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 3 ძირითადი მიმართულებით: საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და დონორთა კოორდინაცია.

ანგარიშში მოყვანილია ზემოხსენებული 3 მიმართულებით განხორციელებული ძირითადი მნიშვნელოვანი მიღწევები, რაც უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ინიცირებითა თუ ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის მიმართულებით 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 12 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება გააფორმა შემდეგი 5 ძირითადი მიმართულებით:

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიციის სფეროში თანამშრომლობა; საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის სფეროში თანამშრომლობა; საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა; მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება; რეადმისია“, - ნათქვამია შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამასთან, უწყების განმარტებით, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის განმავლობაში საქართველომ სულ 23 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება გააფორმა, რომელთაგან თითქმის ნახევარი (12) დადებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

„გარდა ამისა, 2013 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ აგრეთვე ინიცირებული და ხელმოწერილი იქნა 3 მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმება.

ინტერპრესი

◎ დედაბუნება

მოსავარია, რომ არ ცივდება!

„გოლფსტრიმი მალე გაჩერდება და ყველანი გავიყინებით!“ — ეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გულის გამყინავი პროგნოზი შარშან იტალიელმა ფიზიკოსმა ჯანლუიჯი ცანგარიმ გამოთქვა, რითაც არა მარტო სამეცნიერო წრეები, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობა შოკში ჩააგდო.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან მთელი ევროპისთვის, ამერიკის ატლანტიკური სანაპიროსთვის გოლფსტრიმი ერთგვარი გამათბობელია — ის თუ გაჩერდება, ლონდონშიც, ნიუ-იორკშიც და მადრიდშიც ზამთრები ციმბირულად ცივი გახდება.

იტალიელი მეცნიერის შარშანდელმა პროგნოზმა, მართალია, დიდი აჟიოტაჟი კი გამოიწვია, მაგრამ,

როგორც ჩანს, ბევრს მალევე გადაავიწყდა, თუმცა, ცოტა ხნის წინათ, გერმანელმა მეტეოროლოგმა **დომინიკ იუნგმა ქვეყანას კიდევ ერთი გამაოგნებელი ამბავი ამცნო: დღეს-დღეობით გოლფსტრიმი ორჯერ უფრო ნელა მიედინება, ვიდრე 2012 წელს!** ყოველ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროსთან ეს ასეა.

მაშასადამე, გამოდის, რომ თბილი საოკეანო დინება, რომ იტყვიან, ჩვენს თვალწინ ჩერდება? თანაც პროცესი, ფაქტობრივად, მყისიერად მიმდინარეობს?

ეს იგივეა, რაც გზატკეცილზე საათში 100 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობის დროს დაამუხრუჭოთ და სიჩქარე საათში 50 კილომეტრამდე შეანელოთ. ეს განსხვავება ხომ მკვეთრად საგრძნობი იქნება?!

— ამის მიზეზი ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა კი, ფაქტია, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ასეთი სუსტი დინება გოლფსტრიმში არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპისკენ მას ნაკლები სითბო მიაქვს, — დაბნეულია დოქტორი იუნგი. — არადა, ზამთარიცაა, **მიღებული მონაცემები კი იმას მიგვანიშნებს, რომ წინ ძალიან ცივი თვეები გველის. ამ პროგნოზის სისწორეს ამერიკაში ბოლო კვირეების მანძილზე არნახული ყინვები მოწმობს.**

— გოლფსტრიმი უზარმაზარი მასშტაბის წყლის ნაკადია, ამდენად სავსებით შესაძლებელია, რომ მის რომელიმე უბანზე ჭავლის სიმძლავრემ მართლაც იკლო, — ხალხს ამშვიდებენ სხვა მეტეოროლოგი ექსპერტები. — საქმე ისაა, რომ იუნგს გოლფსტრიმის სიჩქარეს მხოლოდ ჩრდილოეთი ამერიკის სანაპიროსთან ზომავდა, თუმცა კი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წყლის ნაკადის სიჩქარემ მთელ სიგრძეზეც დაიკლო. ასევე მცდარი უნდა იყოს აზრი თითქოს კლიმატზე ამ პროცესის ზეგავლენა უკვე საგრძნობია.

ამასობაში, ზუსტი მონაცემების მოპოვებას ის გარემოება ართულებს, რომ თბილი დინების სიჩქარის ყველა მონაკვეთზე გაზომვას მეცნიერები ვერ ახერხებენ.

— საამისოდ ოკეანეში გაცილებით მეტი მეტეოროლოგიური ტივტივაა საჭირო, ვიდრე ამჟამადაა, ამის გარეშე კი დასკვნების გამოსატანად მონაცემები აშკარად არასაკმარისია, — ამბობს გლაზგოს უნივერსიტეტის მეცნიერი როი მაკნამარა. — სხვა საქმეა ტემპერატურა, რომლის გაზომვა ხელოვნური თანამგზავრებიდან უპრობლემოდაა შესაძლებელი, ამის ტექნოლოგია დიდი ხანია შემუშავებულია. სწორედ ამ „კოსმოსური თერმომეტრების“ დახმარებით ვიცით, რომ გოლფსტრიმი არ ცივდება. მაშასადამე, სითბო, შესაძლოა, უფრო ნელა, მაგრამ „დანიშნულების ადგილებამდე“ მაინც მიაღწევს. კაცმა რომ თქვას, დინების სიჩქარეს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, გაცილებით საგულისხმოა დინების მიერ გატანილი წყლის მოცულობა და მისი ტემპერატურა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ გოლფსტრიმს დედამიწაზე ერთად აღებულ ყველა მდინარეზე მეტი წყალი გადააქვს! მისი საშუალო სიჩქარე კი საათში 6,4 კილომეტრია.

ამ პოზიციას მეტეოცენტრ „ფობოსის“ სპეციალისტებიც ამაგრებენ: ამჟამად ჩრდილოეთ ატლანტიკაში ჩვეულებრივზე რამდენიმე გრადუსით მაღალია, ვიდრე ზამთრის დასაწყისშია ხოლმე. ამდენად, როგორც ჩანს, ამერიკაში დიდი სიცივეების მიუხედავად, წლეულს გამყინვარების დაწყება არ გვემუქრება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ციფრებსა და ფაქტებში

რევოლუციამდელ ბავშვებსაც ჰქონდათ სათამაშო...

3000 წელი — ასეთია ასაკი ყველაზე ძველი საბავშვო სათამაშოსი, რომელიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს. იგი ძველი სპარსეთის ტერიტორიაზე ამოთხარეს. ამჟამად ის ლუვრში ინახება.

2000 წელს ჩვენს ერამდე ძველი ეგვიპტელები უკვე თამაშობდნენ თამაშს, რომელიც თანამედროვე შაშს მოგვაგონებს.

III ათასწლეულში ჩვენს ერამდე ძველ ეგვიპტეში უკვე ამზადებდნენ სათამაშოებს ძროხების, ვეფხვების, ნიანგების ხის ფიგურების სახით მარტივი მოძრაობის სამავთულო მექანიზმით. ცნობები ამის შესახებ ბარელიეფებზეა შემორჩენილი.

ძველ საბერძნეთსა და რომში ჩხარუნები ემსახურებოდა ახალშობილებს დამცველებად: მიაჩნდათ, რომ თავის ჩხრიალით ისინი ბოროტ სულებს იშორებენ თავიდან, ერეკებიან.

XIX საუკუნის ბოლოს იაპონურმა სათამაშომ, რომელიც იაპონიის კუნძულ ჰონსიუდან ჩამოიტანეს, — კეთილი მელოტი მოხუცის, ბრძენი ფუკუროკუძიუს ფიგურამ, რომელშიც კიდევ რამდენიმე ერთიმეორეზე დაწყობილი ფიგურა იყო, უკარნახა რუს მხატვარ სერგეი მალიუტინს იდეა — შეექმნა მატრიოშკა.

კონსტრუქტორ „ლეგოს“ 52 პატარა აგური მოდის დედამიწის ყოველ მცხოვრებზე — ასე ბევრი ნაკრები გამოუშვა ფირმამ თავისი არსებობის პერიოდში 1947 წლიდან.

XVII საუკუნის შუა პერიოდამდე სათამაშოები საშობაო ნაძვის ხეზე მხოლოდ საჭმელი იყო.

1958 წელს ამერიკელმა ქალბატონმა რუთ ჰედლერმა დააპატენტა თავისი გამოგონება — თოჯინა ბარბი. თოჯინა დამზადდა გერმანული ეროტიკული კომიქსების გმირის ბილდ ლილის სახის მიხედვით, სახელი კი რუთის ქალიშვილის ბარბარას აღსანიშნავად დაერქვა.

43152003274489856000 კომბინაცია აქვს რუბრიკის კუბიკს და გადაწყვეტილება კი მხოლოდ ერთი.

სულ ცოტა 10 კილოგრამი — ბავშვის ხელების ასეთ ძალისხმევას უნდა გაუძლოს პლუშის დათვის თავმა მისი მოწყვეტის მცდელობის დროს, ევროპული სტანდარტების თანახმად.

1933 წელს, დიდი დეპრესიის დროს, უმუშევარმა მონტიორმა ჩარლზ დეროუმ პენსილვანიიდან გამოიგონა თამაში „მონოპოლია“.

ყველაზე ძველი პლუშის დათვი, რომელიც ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემა და რომლითაც ისევ თამაშობენ ბავშვები, გამოუშვეს 1894 წელს. ამას ადასტურებს დანაკერი სათამაშოს ერთ-ერთ თათზე.

პლუშის დათუნია, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში „ტედი ბიერს“ ეძახიან, შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის პატივსაცემად, რომელმაც ნადირობის დროს შეიბრალა დაჭრილი ბელი. ეს რბილი სათამაშო — დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია.

30 000 ევროდ გაიყიდა 2007 წლის თებერვალში აუქციონზე კოლექცია 90 000 სათამაშოსგან, რომლებიც კინდერ-სიურპრიზის კვერცხიდან ამოიღეს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ◎ ◎